პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

პარასკევი, 21 ოქტომბერი, 1949 წ. № 209 (8512). ფასი 20 კაპ.

ვამრავლოთ მოპოვებული წარმატებანი

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ცნობას საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ 1949 წლის მესამე კვარტალში. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კანონიერი სიამაყის გრძნობით გაეცნობიან იმ დიდ წარმატებას, რომელიც რესპუბლიკის სოციალისტურმა სახალხო მეურნეობამ მოიპოვა სამეურნეო წლის მესამე კვარტალში.

რესპუბლიკის მრეწველობამ 106 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების მესამე კვარტალის გეგმა, ხოლო მიმდინარე წლის ექვსილ ცხრა თვეში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 11 პროცენტით მეტი სამრეწველო პროდუქცია გამოუშვა. კვარტალური დავალებანი საგრძნობი გადაჭარბებით არის შესრულებული როგორც საკავშირო, ასე რესპუბლიკური დაქვემდებარეების მრეწველობაში. გასული წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ერკვეთრად გაიზარდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, როგორიც არის ლითონჭრელი და საფეიქრო დაზგები, ცემენტი, მარგანეცის მადანი, შალისა და აბრეშუმის ქსოვილი, ფეხსაცმელი, კვების პროდუქტები.

საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, გაფართოვდა ასორტიმენტი, შემცირდა თვითღირებულება, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გიიზარდა დაზგა-დანადგარების ნაყოფიერება, დაზოგა მრავალი მილიონი მანეთის ნედლეული და დამხმარე მასალები, გამრავლდა რენტაბელურად მომუშავე საწარმოთა რაოდენობა.

სასახელო საწარმოო მაჩვენებლებით დამთავრებს სამეურნეო წელს საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, როგორც წინა წლებში, წელსაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი მოიწიეს. დამთავრდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება, გაცხოველებით მიმდინარეობს სიმინდის აღება. სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 29 სექტემბრისათვის შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა და გასულ წელთან შედარებით წელს სახელმწიფოს 11 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი ჩააბარეს. მეთამბაქოე კოლმეურნეობებმა 19 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდეს თამბაქოს შეტანის გეგმა. წარმატებით მიმდინარეობს რთველი. მთელმა რიგმა რაიონებმა უკვე დაამთავრეს სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარება და ახლა გეგმის გადამეტებით აბარებენ ყურძენს. საკოლმეურნეო მინდვრებში გაჩაღებულია საშემოდგომო თესვა, მზრალად ხვნა, ნიადაგის მომზადება ჩაისა და ციტრუსების ახალი პლანტაციების გასაშენებლად.

ცენტრალიზებულ კაპიტალურ სამუშაოთა კვარტალური გეგმა მთლიანად არ არის შესრულებული, მაგრამ კაპიტალური მშენებლობა რომ წელს გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით წარმოებს, ამას ის ფაქტი ადასტურებს, რომ მიმდინარე წლის ცხრა თვეში შესრულებულ კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობამ 20 პროცენტით გადააჭარბა გასული წლის იმავე პერიოდში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას.

იგივე შეიძლება ითქვას რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ. ამიერკავკასიის რკინიგზამ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში, გასული წლის მესამე კვარტალთან შედარებით, 25 პროცენტით გაადიდა დატვირთვა, ხოლო 16 პროცენტით გადმოტვირთვა, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ უზრუნველყო ტვირთზიდვის კვარტალური გეგმის შესრულება. საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებასაც დაეკლდა 7 პროცენტი.

ძირფესვიანად უნდა გააუმჯობესონ მუშაობა რესპუბლიკის მეშახტეებმა, რომლებმაც საგრძნობი ჩამორჩენით დაამთავრეს მესამე კვარტალი და ათეულ ათასობით ტონა სათბობი დააკლეს სამშობლოს. ქვანახშირის მრეწველობის მიერ გეგმების შესრულებაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მთელი ჩვენი მრეწველობის მაღალნაყოფიერი მუშაობა, მათ მიერ საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულება. ეს გარემოება უნდა გაითვალისწინონ მეშახტეებმა და უახლოეს დღეებში მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას მუშაობაში.

ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ აგრეთვე თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის, ინგურის ქაღალდის კომბინატის, პლასტმასის ნაკეთობათა ქარხნისა და ყველა იმ საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც თვიდან თვემდე თავს ვერ აღწევენ ჩამორჩენას.

საწარმოო დავალებათა რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულების მიუხედავად, ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები უგულებელყოფენ ასორტიმენტის მიხედვით გეგმების შესრულებას. მაგალითად, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 112 პროცენტით შეასრულეს მესამე კვარტალის გეგმა, მაგრამ მათ ვერ უზრუნველყვეს საწოლების, ლურსმნის, ალუმინის ჭურჭლისა და ზოგიერთი სხვა ნაწარმის გეგმით გათვალისწინებული ოდენობით გამოშვება. იგივე შეიძლება ითქვას მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროების ზოგიერთი საწარმოს, აგრეთვე სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის არტელების შესახებ. საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ ნომენკლატურის მიხედვით გეგმის შესრულება თვითეული საწარმოს ნაყოფიერი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

კაპიტალური მშენებლობის სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა გაშლილი სამოქმედო პროგრამა დაუსახა. ამ პროგრამის განხორციელებისათვის შეუნელებელი ბრძოლა, კაპიტალურ სამუშაოთა გეგმების შესრულება, მშენებლობის გაიაფება და სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება მშენებელთა გადაუდებელი ამოცანაა.

სოციალისტური სახალხო მეურნეობა რკინიგზელთა წინაშე ყოველწლიურად გადიდებულ მოთხოვნებს აყენებს. სახალხო მეურნეობის შემდგომი წინსვლა, გეგმების წარმატებით შესრულება მრეწველობაში, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში წარმოუდგენელია, თუ რკინიგზის ტრანსპორტი გამართულად არ მუშაობს. ეს კარგად იციან ჩვენმა რკინიგზელებმა და მათ უნდა უზრუნველყონ ტვირთზიდვის დავალებათა სისტემატურად შესრულება.

საბჭოთა ვაჭრობის მუშაკების მოვალეობაა გადაჭრით გააუმჯობესონ მომხმარებელთა მომსახურება, გააფართოონ საქონელბრუნვა, გამოასწორონ ჩამორჩენა და მიაღწიონ საქონელბრუნვის წლიური გეგმის აუცილებლად შესრულებას.

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავი. მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობებსა და სოფლის მეურნეობაში გაჩაღებულია საოქტომბრო შეჯიბრება ამ დიადი დღესასწაულის სასახელო საწარმოო მაჩვენებლებით შეხვედრისათვის. პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მშრომელთა აქტივობას, უნარიანად უხელმძღვანელონ შეჯიბრებას, მთელი ძალები დარაზმონ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ვამრავლოთ სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში მოპოვებული წარმატებანი. მთელი ენერგიით ვიბრძოლოთ მეოთხე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

საბჭოთა კავშირის მარშალ თ. ი. ტოლბუხინის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დაადგინა:**

1. საბჭოთა კავშირის მარშალ თ. ი. ტოლბუხინის ხსოვნა უკვდავყოფილ იქნას მისთვის ქალაქ მოსკოვში ძეგლის აგებით.

2. საბჭოთა კავშირის მარშალ თ. ი. ტოლბუხინის სახელი მიეკუთვნოს მე-6 მსროლელ დივიზიას, რომელსაც ამიერიდან ეწოდოს „საბჭოთა კავშირის მარშალ ტოლბუხინის სახელობის მე-6 მსროლელი დივიზია“.

3. საბჭოთა კავშირის მარშალ თ. ი. ტოლბუხინის სახელი მიეკუთვნოს ლენინგრადის სამხედრო ოლქში შეიარაღებული ძალების თვითმავალი არტილერიის უმაღლეს ოფიცერთა სკოლას, რომელსაც ამიერიდან ეწოდოს „საბჭოთა კავშირის მარშალ ტოლბუხინის სახელობის შეიარაღებული ძალების თვითმავალი არტილერიის უმაღლესი ოფიცერთა სკოლა“.

4. მემორიალური დაფები გაუკეთდეს:

— მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის შენობას ქალაქ მოსკოვში, სადაც სამხედრო განათლება მიიღო საბჭოთა კავშირის მარშალმა თ. ი. ტოლბუხინმა;

— ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის შენობას ქალაქ თბილისში, სადაც საბჭოთა კავშირის მარშალი თ. ი. ტოლბუხინი სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად და სარდლად იყო.

საქართველოს სსრ სოციალისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1949 წლის III კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის მუშაობა და კაპიტალურ სამუშაოთა და საქონელბრუნვის მოცულობა III კვარტალში შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

მრეწველობა

I

მრეწველობის საერთო პროდუქციის III კვარტალის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით. საკავშირო მრეწველობის კვარტალური გეგმა შესრულებულია 100,8 პროცენტით, რესპუბლიკურისა—108 პროცენტით.

1949 წლის 9 თვეში სამრეწველო პროდუქცია გამოშვებულია 11 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის იმავე 9 თვეში.

II

საქართველოს სსრ ცალკეულ სამინისტროებში მრეწველობის საერთო პროდუქციის III კვარტალის გეგმის შესრულება შეადგენს:

	1949 წ. III კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი
კვების მრეწველობის სამინისტრო	111
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	92
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	104
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	99
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	105
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	112
მათ შორის:	
რესპუბლიკური მრეწველობა	101
რაიონული მრეწველობა	119
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	110
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	111
სარეწაო კოოპერაცია	109
მათ შორის:	
სარეწაო კოოპერაციის სამმართველო	104
იხვალიდთა კოოპერაცია	122

საერთო პროდუქციის გეგმის შესრულებასთან ერთად ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახის პროდუქციის დარგში გეგმა ვერ შეასრულეს: მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ—აბრეშუმისა და ნახევარაბრეშუმის ქსოვილების, უხეში და რბილი ტყავისა, კვების მრეწველობის სამინისტრომ—ღვინის, კონიაკის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელებისა. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ—საწოლების, სასწორების, ლურსმნის, ალუმინის ჭურჭლის, რვეულებისა (რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა) და საშენი მასალის, საწოლების, ლურსმნის, ავეჯის, ზედა ტრიკოტაჟისა (რაიონული დაქვემდებარების მრეწველობა).

საერთო პროდუქციის გეგმის შესრულებასთან ერთად სარეწაო კოოპერაციამ და ინვალიდთა კოოპერაციამ ვერ შეასრულეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი სახეების პროდუქციის წარმოების გეგმა. სარეწაო კოოპერაციის სამმართველომ ვერ შეასრულა კრამიტის, ავეჯის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილების, თოკის, ზედა ტრიკოტაჟის გამოშვებისა და სამასალო მერქნის გამოზიდვის გეგმა; საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციის კავშირმა ვერ შეასრულა დახერხილი ხე-ტყის, ლურსმნის, საწოლების, ფეხსაცმლის, აბრეშუმის ქსოვილის, ზედა ტრიკოტაჟის, წინდის ნაკეთობის გამოშვების გეგმა.

III

უმნიშვნელოვანესი სახეების სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება 1949 წლის III კვარტალში შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

	1949 წლის III კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1949 წლის III კვარტალი პროცენტობით 1948 წლის III კვარტალთან შედარებით
მარგანეცის მადანი (სასაქონლო)	103	129
ქვანახშირი	92	102
ნავთი	100	109
ელექტროენერგია (სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს სადგურების მიხედვით)	98	94
საშახტო ელმავლები	95	1948 წელს გამოშვებული არ ყოფილა
საშახტო ტრანსპორტიორები	100	
ლითონსაჭრელი დაზგები	108	145
საფეიქრო დაზგები	140	175
ცემენტი	122	152
შიფერი	104	106
აგური	93	106
კრამიტი	65	108
კირი	100,4	100,7
ასანთი	87	129
დაწებებული ფანერი	116	136
დახერხილი ხე-ტყის მასალა (სატყეო და ქაღალდის მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები, ინვალიდთა კოოპერაცია)	96	97
სამასალე მერქნის გამოზიდვა (სატყეო და ქაღალდის მრეწველობის, სატყეო მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები, სარეწაო კოოპერაცია)	84	126
ქაღალდი	84	98
შალის ქსოვილები	104	112
აბრეშუმის ქსოვილები	94	116
გრეჯა	108	122
წინდის ნაკეთობანი	102	150
ტრიკოტაჟის საცვლები	120	111
ზედა ტრიკოტაჟი	52	57
ფეხსაცმელი	94	115
რბილი ტყავი	86	101
საწოლები	56	82
პიანინოები	101	101
ერბო-კარაქი	72	106
მცენარეული ზეთი	110	109
სუფრის მარგარინი	158	59
ხორცი	75	71
კონსერვები	120	115
შაქრის ფხვნილი	116	174
ჩაი (პირველადი დამუშავება)	110	126
ყურძნის ღვინო	85	83
პაპიროსი	112	100
საპონი	92	123

IV

ცალკეული მსხვილი საწარმოების მიერ III კვარტალის გეგმის შესრულება შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

საკავშირო მრეწველობის საწარმოები

ა. შეასრულეს გეგმა (საერთო პროდუქციის, ნაკეთობათა ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მხრივ)

	1949 წლის III კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი
საქთამბაქონედლეული	181
საქკონსერვტრესტი	124
კასპის ცემენტის ქარხანა	121
საქართველოს მარმარილოს კომბინატი	121
შრომის რეზერვების სამინისტროს სამსხმელო-მექანიკური ქარხანა	120
კოფეინის ქარხანა	119
სოხუმჰესი	117
საქართველოს შაქრის ქარხანა	116
ქარხანა „დაზგა“	116
სპილენძსაგლინავი ქარხანა	115
შიფერის ქარხანა	115
შამპანური ღვინოების კომბინატი	113
ლიტოპონის ქარხანა	110
კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა	110
ტყვარჩელის რაიონული თბოელექტროსადგური	109
თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი	107
რიონჰესი	105
ზაჰესი	100,5
საქნავთის ტრესტი	100
ენგურის ქაღალდის კომბინატმა	98
ბერიას სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ	97
საქნავთმრეწვმასალების ტრესტმა	95
ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკამ	95
ახალციხის ქვანახშირის შახტების სამმართველომ	78
პლასტმასების ქარხანამ	77
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა	75
სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ	73
მარგარინის ქარხანამ	52

რესპუბლიკური მრეწველობის საწარმოები

ა. შეასრულეს გეგმა (საერთო პროდუქციის, ნაკეთობათა, ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით):

	1949 წლის III კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი
ცხაკაიას კირის ქარხანამ	163
შროშის ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქარხანამ	158
ტრესტმა „საქტუნგომ“	125
თბილისის ავეჯის ფაბრიკამ	123
სამტრედიის აგურის ქარხანამ	122
№ 2 ტყავის ქარხანამ	122
თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკამ	118
საბურთალოს აგურის ქარხანამ	117
ზუგდიდის აგურის ქარხანამ	115
საქართველოს ჩაის ტრესტმა	115
საქართველოს მინერალური წყლების ტრესტმა	114
საგალანტერეო ფაბრიკა „კომსომოლკამ“	114
საქართველოს თამბაქოს ტრესტმა	112
ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატმა	112
მარელისის ავეჯის ქარხანამ	112
მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატმა	111
წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევმა ფაბრიკამ	111
მახარაძის აბრეშუმის ძაფსაგრეხმა ფაბრიკამ	110
სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევმა ფაბრიკამ	110
თბილისის ავტოსარემონტო ქარხანამ	109
თბილისის საინსტრუმენტო ქარხანამ	109
ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანამ	107
ქუთაისის მაუდის ფაბრიკამ	106
26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ	106
თელავის აბრეშუმის ძაფსახვევმა ფაბრიკამ	105
„საქმთავკონდიტერმა“	105
მეტეხის აგურ-კრამიტის ქარხანამ	104
ბამბის ფაბრიკამ	103
ბამბის სართავმა ფაბრიკამ	103
ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა	102
№ 2 სამკერვალო ფაბრიკამ	100,5
№ 5 სამკერვალო ფაბრიკამ	100,2
საქართველოს ხორცის მრეწველობის ტრესტმა	100,1
ბორჯომის ავეჯის ფაბრიკამ	100

ბ. შეასრულეს გეგმა საერთო პროდუქციის მხრივ, მაგრამ ვერ უზრუნველყვეს ნაკეთობათა გამოშვება ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით: „საქპურტრესტმა“, „სამტრესტმა“, თბილისის აბრეშუმის საქსოვმა ფაბრიკამ, №№ 1 და 2 ფეხსაცმლის ფაბრიკებმა, №№ 1, 4, 6 და 7 სამკერვალო ფაბრიკებმა, გურჯაანის აგურის ქარხანამ, საქართველოს ხე-ტყის დამამზადებელმა ტრესტმა, მცხეთის ასანთის ფაბრიკამ, კალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ, ლითონის კონსტრუქციების ქარხანამ, ცელულოიდის ნაკეთობათა ფაბრიკამ, მომთუთიებელმა ქარხანამ.

გ. გეგმა ვერ შეასრულეს:

	1949 წლის III კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი
ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკამ	96
სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატმა	95
საქართველოს ლუდისა და ლიმონათის ტრესტმა	95
ახმეტის ხე-ტყის სახერხმა ქარხანამ	90
საქართველოს ყველისა და ერბოს მრეწველობის ტრესტმა	90
ბათუმის ფანერის ქარხანამ	85
თბილისის მაცივარკომბინატმა	82
№ 3 ტყავის ქარხანამ	80
თბილისის ფანერის ქარხანამ	77
№ 1 ტყავის ქარხანამ	69

სოფლის მეურნეობა

III კვარტალში მთლიანად დამთავრდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება და 25 სექტემბრისათვის რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა მარცვლეულის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა (სიმინდის ჩაუთვლელად).

აქეამად სწრაფი ტემპით წარმოებს სიმინდის მოსავლის აღება. 15 ოქტომბრისათვის კოლმეურნეობებმა მარცვლეულის მოსავლის აღების გეგმა, სიმინდის ჩათვლით, შეასრულეს 66 პროცენტით, მზესუმზირისა—95 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა—40 პროცენტით, კარტოფილისა—24 პროცენტით, ბალახის თესლისა—96 პროცენტით.

თამბაქოს შეტეხის გეგმა შესრულებულია 119 პროცენტით, ნედლი ბამბის მოსავლის აღების გეგმა—39 პროცენტით. ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის აღებისა და ჩაბარების სახელმწიფო გეგმა რესპუბლიკამ შეასრულა ვადამდე 29 სექტემბერს. მოკრეფილია და ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 11.058 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე 1948 წელს.

ბუნებრივი სათიბების თიბვის გეგმა კოლმეურნეობებმა შეასრულეს 103 პროცენტით, დასილოსების გეგმა—88 პროცენტით.

მინდვრებში გაჩაღდა საშემოდგომო სამუშაოები. წარმოებს საშემოდგომო თესვა და მზრალად ხვნა საგაზაფხულო თესვისათვის. მზრალად ხვნის გეგმა 15 ოქტომბრისათვის შესრულებულია 70 პროცენტით. ჩაის პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგის მომზადების გეგმა 15 ოქტომბრისათვის შესრულებულია 77 პროცენტით, ციტრუსოვანთა პლანტაციების გაშენების გეგმა—39 პროცენტით.

10 ოქტომბრისათვის სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა რბილ ხვნაზე გადაყვანით შესრულებულია 74 პროცენტით.

კაპიტალური მშენებლობა

რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობაში III კვარტალის ცენტრალიზებულ კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 81 პროცენტით, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების ობიექტებზე — 92 პროცენტით და რესპუბლიკური დაქვემდებარების ობიექტებზე—61 პროცენტით.

წლის დასაწყისიდან ფაქტიურად შესრულებულ კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა აღემატება 1948 წლის სათანადო პერიოდის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობას 20 პროცენტით, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების ობიექტებზე—11 პროცენტით და რესპუბლიკური დაქვემდებარების ობიექტებზე—78 პროცენტით.

კაპიტალურ სამუშაოთა წლიური გეგმა 1949 წლის 1 ოქტომბრისათვის შესრულებულია 65 პროცენტით.

რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა

ამიერკავკასიის რკინიგზაზე III კვარტალში საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გეგმა შესრულებულია 98 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვის გეგმა—89 პროცენტით. ქვანახშირის დატვირთვის გეგმა შესრულებულია—74 პროცენტით, მარგანეცის მადნისა—96 პროცენტით, ნავთის პროდუქტებისა—108 პროცენტით.

1949 წლის III კვარტალში საშუალო სადღეღამისო დატვირთვა გასული წლის იმავე კვარტალთან შედარებით გაიზარდა 25 პროცენტით, გადმოტვირთვა—16 პროცენტით.

საქონელბრუნვა

III კვარტალის საცალო საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 93 პროცენტით. საცალო ქსელის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 93,4 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის გეგმა—90,8 პროცენტით.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

საბჭოთა კავშირის მარშალ თ. ი. ტოლბუხინის დაკრძალვა

19 ოქტომბერს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი უკანასკნელად ეთხოვებოდა გაძოჩენილ მხედართუფროსს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს, საბჭოთა კავშირის მარშალს თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინს.

18 ოქტომბერს ღამით მოხდა განსვენებულის ნეშტის კრემაცია. ურნა მისი ფერფლით დაიდგა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. როგორც წინა დღეს, აქ დილიდანვე მოვიდნენ ათეულ ათასობით მოსკოველები, რათა უკანასკნელი პატივი ეცათ დიდი სამამულო ომის გმირისათვის, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა სამშობლოსადმი თავდადებულ სამსახურს.

დილის 10 საათია. სამგლოვიაროდ არის მორთული სვეტებიანი დარბაზი. სცენიდან გაისმის ჩაიკოვსკის სევდიანი მელოდია, რომელსაც სიმფონიური ორკესტრი ასრულებს. კვარცხლბეკზეა urna თ. ი. ტოლბუხინის ფერფლით, მის წინ მარშალის პორტრეტია. ატლასის ბალიშებზეა საბრძოლო ორდენები და მედლები, რომლებითაც სამშობლომ დააჯილდოვა თავისი ერთგული შვილი.

მწუხარე დუმილით მიდის ადამიანთა ნაკადი სვეტებიან დარბაზში. უხმოდ იცვლება საპატიო ყარაული. საპატიო ყარაულში დგანან ოფიცრები და გენერლები, რომელთა სახელები არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული სტალინის მისასალმებელ ბრძანებებში მარშალ ტოლბუხინისადმი. ესენი არიან სტალინგრადის დაცვის გმირები, იასი-კიშინიოვის ცნობილი ოპერაციის გმირები, სევასტოპოლის, ტაგანროგისა და დონბასისათვის ბრძოლებისა და უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის განთავისუფლებისათვის სახელოვან ლაშქრობათა მონაწილენი... თვითეულ მათგანს აქვს საბრძოლო ორდენები, რომლებიც ომის დღეებში მიიღო სარდლის, მარშალ ტოლბუხინის ხელიდან. სამამულო ომის ვეტერანებს საპატიო ყარაულში ცვლიან მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები, კომკავშირელები, ძველი ბოლშევიკები, მეცნიერნი, მწერლები, ხელოვნების მუშაკები. ყველა მათთვის ძვირფასია მარშალი ტოლბუხინი, როგორც სამშობლოს პატრიოტი, რომელმაც მთელი თავისი ძალა, მთელი თავისი მგზნებარე ენერგია, მტკიცე ბოლშევიკური ნებისყოფა მოახმარა სამშობლოს, ლენინ-სტალინის საქმის გამარჯვებას.

საბჭოთა ხალხთან ერთად თ. ი. ტოლბუხინის სიკვდილს გლოვობენ სახალხო დემოკრატიის მეგობრული ქვეყნების მშრომელნი.

დარბაზში შემოდის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია დ. განევის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ს. ბლაგოევა, გენერალი ბ. კოჰჩევი, ი. მიხაილოვი, პ. ცარვულანოვი, პოლკოვნიკი ბაჩმაროვი, პ. შაბანსკი, გენერალი პ. ილიევი, პოლკოვნიკი დიმერჯიევი, პოლკოვნიკი კრისტანოვი, პოლკოვნიკი პჩელინსკი, პოლკოვნიკი ა. პოჩიხკოვი. დელეგაციას თან მოაქვს ცოცხალი ყვავილების დიდი გვირგვინი. ბულგარელი ხალხი დიდ პატივს სცემს მარშალ ტოლბუხინს, — მისი სარდლობით სახელოვანმა საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს ბულგარეთი ფაშისტური უღლისაგან.

სვეტებიან დარბაზში შემოდის უნგრეთის მთავრობის დელეგაცია ი. კოვაჩის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ა. სობეკი, მ. ხორვატი, ლ. გაი, ბ. კელენი, მ. ნადი და ვილმოშ ლისტი. დელეგაცია დგება საპატიო ყარაულში და უკანასკნელ ვალს იხდის დიდი განმათავისუფლებელი ომის გმირის წინაშე.

განსვენებულ მარშალ თ. ი. ტოლბუხინთან გამოსათხოვებლად ჩამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ს. ბუგიჩის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სორინ ტომა, გოგუ რადოლუსკუ, პოდპოლკოვნიკი ნ. ნანუ, პოდპოლკოვნიკი კ. ლუპესკუ, ბ. ვასილიუ, ი. ტუტოვიანუ და კ. იოანესკუ.

გვირგვინი შემოაქვს პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს.

კვარცხლბეკს განსვენებულ მარშალ თ. ი. ტოლბუხინის ურნით გვირგვინით ამკობს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საელჩო.

ცოცხალი ყვავილების დიდი გვირგვინი შემოაქვს სვეტებიან დარბაზში საბჭოთა კავშირში მყოფ ალბანელ გლეხთა დელეგაციას.

თითქოს ბოლო არ უჩანს სვეტებიან დარბაზში შემოსვლის მსურველთა ნაკადს. შემოაქვთ ახალ-ახალი გვირგვინები. მათ შორის არის რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს და სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გვირგვინები, აგრეთვე გვირგვინები ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარისკაცების, სერჟანტების, ოფიცრებისა და გენერლებისაგან, ოლქისა, რომლის ჯარებსაც ამ უკანასკნელ დროს სარდლობდა მარშალი ტოლბუხინი.

საპატიო ყარაულში დგანან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, საბჭოთა არმიის მარშლები და გენერლები, განსვენებულის მეგობრები და ნათესავები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მარშალ თ. ი. ტოლბუხინის თანამებრძოლები.

დადგა გამოთხოვების უკანასკნელი წუთები... მთავრობის წევრები იღებენ კვარცხლბეკიდან urnას და გასასვლელისაკენ მიემართებიან. წინ ატლასის ბალიშებზე გენერლისა და ოფიცრებს მიაქვთ განსვენებულის მარშლის ვარსკვლავი, საბრძოლო ორდენები და მედლები. დარბაზიდან გამოაქვთ აუარებელი გვირგვინები.

სამგლოვიარო პროცესიამ გაიარა საპატიო სამხედრო ყარაულის წინ და ოხოტნი რიადით და მანეჟის მოედნით მიემართება ისტორიული მუზეუმისაკენ, წითელ მოედანზე, სადაც ჩამწკრივებულან ჯარები და შეკრებილან დედაქალაქის მშრომელთა ათასობით წარმომადგენლები.

4 საათსა და 10 წუთზე სამგლოვიარო პროცესია მიუახლოვდა ვ. ი. ლენინის მავზოლეუმს. მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან მთავრობის წევრები. წითელ მოედანზე იმყოფებიან მოსკოვში აკრედიტებული სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოებისა და მისიების მეთაურები: ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი ბ-ნი ლაშტოვიჩკა, პოლონეთის რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი ზამდროვიჩი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი მალილე, კორეის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ბ-ნი დიუ ენ ხა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დესპანი ბ-ნი იდამჟაბი და ამ რესპუბლიკების სამხედრო ატაშეები. დაკრძალვას ესწრებიან აგრეთვე უცხოელი კორესპონდენტები.

4 საათსა და 20 წუთზე დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის თავმჯდომარე გენერალ-პოლკოვნიკი გოლიკოვი ხსნის ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ერთერთი გამოჩენილი მხედართუფროსისა და მშენებლის, დიდი სამამულო ომის სახელმოხვეჭილი გმირის საბჭოთა კავშირის მარშლის თ. ი. ტოლბუხინის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგს.

საბჭოთა მთავრობის, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახელით სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ვასილევსკიმ.

შემდეგ დედაქალაქის მშრომელთა სახელით გამოვიდა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პარფენოვი.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. მთავრობის წევრები, მარშლები და გენერლები ჩამოდიან მავზოლეუმის ტრიბუნიდან, ფრთხილად იღებენ urnას თ. ი. ტოლბუხინის ფერფლით და მიემართებიან კრემლის კედლისაკენ.

სამგლოვიარო მარშის ჰანგებში urna მარშალ ტოლბუხინის ფერფლით დამარხეს კრემლის კედელში. ზედიზედ გაისმის 24 საარტილერიო ზალპი — გამოჩენილი მხედართუფროსის, დიდი სამამულო ომის სახელმოხვეჭილი გმირის თ. ი. ტოლბუხინის პატივსაცემად. სამგლოვიარო მელოდიის ხმებს ცვლის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის დიდებული ჰანგები.

მთავრობის წევრები კვლავ ადიან მავზოლეუმის ტრიბუნაზე. იწყება ჯარების სვლა. მარშის რკინისებური რიტმით, მტკიცე ნაბიჯით, სწორი მწკრივებით წითელ მოედანზე გაიარეს სახელმოხვეჭილმა საბჭოთა ოფიცრებმა და გენერლებმა, დიდი სამამულო ომის წლებში ძლევამოსილი ბრძოლების მონაწილეებმა, სამხედრო აკადემიების მსმენელებმა, კურსანტებმა, არტილერისტებმა, ტანკისტებმა, მფრინავებმა, მეზღვაურებმა, ქვეითებმა, კავალერისტებმა — სხვადასხვა გვარეობის სახელოვანი საბჭოთა იარაღის წარმომადგენლებმა. ისინი უკანასკნელ ვალს იხდიან სტალინური სკოლის ერთ-ერთი უდიდესი სამხეედრო მოღვაწის წინაშე, რომლის ნათელი სიცოცხლე მთლიანად მოხმარდა სამშობლოს სამსახურს. (საკდესი).

ამხ. ი. ა. პარფენოვის სიტყვა

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ უკანასკნელად ვეთხოვებით ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ გამოჩენილ მხედართუფროსსა და შეიარაღებული ძალების მშენებელს — საბჭოთა კავშირის მარშალს თევდორე ივანეს-ძე **ტოლბუხინს.**

მოსკოვის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან და ჩვენი სახელოვანი არმიის მეომრებთან ერთად, გულისტკივილით განიცდიან ამ მძიმე დანაკლისს.

ამხანაგი **ტოლბუხინი** გამოვიდა უბრალო ხალხიდან, მშრომელი გლეხის ოჯახიდან. ძველი წყობილების პირობებში განვითარება არ შეეძლო მის დიდ ნიჭსა და თვალსაჩინო ორგანიზატორულ უნარს.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გაეხსნა ამხ. **ტოლბუხინს,** ისევე როგორც მილიონობით საბჭოთა ადამიანებს, ფართო გზა ცოდნის მისაღებად, სახელმწიფოს მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

სამოქალაქო ომის წლებში თევდორე ივანეს-ძე, რომელსაც წითელ არმიაში პასუხსაგები პოსტები ეკავა, თავდადებულად იცავდა ჩვენს საბჭოთა სამშობლოს.

მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში ამხანაგი **ტოლბუხინი** მთელ თავის ძალებს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა შეიარაღებული ძალების განმტკიცებისა და საბჭოთა მეომრების საბრძოლო მომზადების გაუმჯობესების საქმეს.

ამხანაგი **ტოლბუხინი** გულმოდგინედ ეუფლებოდა გამარჯვების მოწინავე სტალინურ მეცნიერებას და იმ ახალი ხელმძღვანელი სამხედრო კადრების ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი იყო, რომლებიც აღზარდა დიდმა ბელადმა და გენიალურმა მხედართმთავარმა ამხანაგმა სტალინმა.

ამხანაგ **ტოლბუხინის** მხედართმთავრის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

თევდორე ივანეს-ძე **ტოლბუხინი** დაიბადა 1894 წელს. პირველი მსოფლიო ომის დროს იგი გაწვეულ იქნა ძველ მეფის არმიაში. დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას იგი შეეგება როგორც მშრომელი მასების სისხლხორცეულ საქმეს და ურყევად ჩადგა საბჭოთა ხელისუფლების დამცველთა რიგებში. 1918 წლიდან იგი განუწყვეტლივ იმყოფებოდა საბჭოთა არმიაში და ღირსეულად, ბოლომდე შეასრულა თავისი საპატიო მხედრული ვალი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის დღეებში ამხანაგი **ტოლბუხინი,** რომელიც პასუხსაგებ სამეთაურო თანამდებობებზე იმყოფებოდა, იბრძოდა საბჭოთა სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ, მამაცურად იცავდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს შინაური და გარეშე კონტრრევოლუციისაგან.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ამხ. **ტოლბუხინი** განსაკუთრებული ენერგიით შრომობდა ჩვენი არმიის საბრძოლო ძლიერების განსამტკიცებლად. იგი უდიდეს ხელმძღვანელ მუშაობას უნარიანად უხელმძღვანელებდა დაძაბულ და განუწყვეტელ სწავლას.

მარშალი **ტოლბუხინი** ეკუთვნის იმ ახალი ხელმძღვანელი სამხედრო კადრების რიცხვს, რომლებიც აღზარდა და პასუხსაგებ პოსტებზე დააწინაურა ამხანაგმა სტალინმა. თევდორე ივანეს-ძე **ტოლბუხინის,** როგორც ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართუფროსისა და საბჭოთა შეიარაღებული ძალების მშენებლის, სახელი სამუდამოდ შევა ჩვენი დიდი ხალხის გმირულ ისტორიაში.

დიდი სამამულო ომის წლებში მთელი ძალით გამოვლინდა ამხანაგ **ტოლბუხინის** დიდი მხედართმთავრული ნიჭი. ამ ომის პირველივე დღეებიდან იგი მოწინავე საბრძოლო პოსტზე იმყოფებოდა: იყო ფრონტის შტაბის უფროსი, სარდლობდა არმიას, ხოლო შემდეგ ფრონტს. მარშალი **ტოლბუხინი** სანიმუშოდ და განსაკუთრებული უნარითა და ნიჭით ასრულებდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებებსა და დავალებებს, ახორციელებდა მტრის განადგურების გენიალურ სტალინურ გეგმებს. ჯარებმა, რომლებსაც მარშალი **ტოლბუხინი** ხელმძღვანელობდა, ღირსეულად გაიარეს სპატიო და საბრძოლო გზა ვოლგიდან ავსტრიის ალპებამდე, ისინი იბრძოდნენ სტალინგრადთან, მონაწილეობდნენ ფაშისტ დამპყრობთაგან დონბასის, ყირიმის, უკრაინის, მოლდავეთის განთავისუფლებაში, მათ გადალახეს დნეპრი, დნესტრი, დუნაი. მთელ საბჭოთა არმიასთან ერთად მათ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს მოუტანეს ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლება. ჩვენი შეიარაღებული ძალების გამარჯვებათა მატიანეში თავიანთი საგმირო საქმეებით ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს ჯარებმა, რომლებსაც მარშალი **ტოლბუხინი** ხელმძღვანელობდა. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს მრავალჯერ მიუცია მათთვის სალუტი მტერზე გამარჯვებათა გამო. მარშალ **ტოლბუხინის** სახელი ბევრჯერ ყოფილა მოხსენიებული უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის მადლობის ბრძანებებში.

მარშალ **ტოლბუხინის** სახელი ძვირფასია არა მარტო საბჭოთა ხალხისათვის. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ყველა იმ ხალხთა გულში, რომლებსაც ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლება მოუტანეს ჩვენი მამაცი საბჭოთა არმიის ჯარებმა.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ამხანაგი **ტოლბუხინი** საბჭოთა მთავრობის მიერ ღანიშნულ იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანამდებობაზე.

საბჭოთა ადამიანები კარგად იცნობდნენ ამხანაგ **ტოლბუხინს** და უყვარდათ იგი არა მარტო როგორც ერთ-ერთი დიდი ხელმძღვანელი ჩვენი შეიარაღებული ძალებისა, არამედ აგრეთვე როგორც სახელმწიფო მოღვაწე. მათ დიდი ნდობა აღმოუჩინეს მას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ბოლშევიკების პარტიის მიერ კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი ამხანაგი **ტოლბუხინი** ყოველთვის და ყველგან, ყოველ პოსტზე, რომელსაც მას საბჭოთა მთავრობა და ბოლშევიკების პარტია ანდობდნენ, გვიჩვენებდა ჩვენი ხალხისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითს, სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის უმწიკლოდ შესრულების მაგალითს.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო საბრძოლო დამსახურებისათვის საბჭოთა მთავრობამ ამხანაგი **ტოლბუხინი** დაჯილდოვა გამარჯვების ორდენით, ლენინის ორი ორდენით, წითელი დროშის სამი ორდენით, სუვოროვის I ხარისხის ორი ორდენით, კუტუზოვის I ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მრავალი მედლით.

ამხანაგ **ტოლბუხინის** — ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილის, საბჭოთა არმიის გამოჩენილი მხედართუფროსისა და ორგანიზატორის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის ნათელ ხსოვნას წმიდად შეინახავენ მთელი საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები.

სამარადისო იყოს შენი ხსოვნა, ჩვენო მებრძოლო ამხანაგო და მეგობარო!

ამხ. ი. ა. პარფენოვის სიტყვა

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ უკანასკნელად ვეთხოვებით ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ გამოჩენილ მხედართუფროსსა და შეიარაღებული ძალების მშენებელს — საბჭოთა კავშირის მარშალს თევდორე ივანეს-ძე **ტოლბუხინს.**

მოსკოვის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან და ჩვენი სახელოვანი არმიის მეომრებთან ერთად, გულისტკივილით განიცდიან ამ მძიმე დანაკლისს.

ამხანაგი **ტოლბუხინი** გამოვიდა უბრალო ხალხიდან, მშრომელი გლეხის ოჯახიდან. ძველი წყობილების პირობებში განვითარება არ შეეძლო მის დიდ ნიჭსა და თვალსაჩინო ორგანიზატორულ უნარს.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გაეხსნა ამხ. **ტოლბუხინს,** ისევე როგორც მილიონობით საბჭოთა ადამიანებს, ფართო გზა ცოდნის მისაღებად, სახელმწიფოს მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

სამოქალაქო ომის წლებში თევდორე ივანეს-ძე, რომელსაც წითელ არმიაში პასუხსაგები პოსტები ეკავა, თავდადებულად იცავდა ჩვენს საბჭოთა სამშობლოს.

მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში ამხანაგი **ტოლბუხინი** მთელ თავის ძალებს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა შეიარაღებული ძალების განმტკიცებისა და საბჭოთა მეომრების საბრძოლო მომზადების გაუმჯობესების საქმეს.

ამხანაგი **ტოლბუხინი** გულმოდგინედ ეუფლებოდა გამარჯვების მოწინავე სტალინურ მეცნიერებას და იმ ახალი ხელმძღვანელი სამხედრო კადრების ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი იყო, რომლებიც აღზარდა დიდმა ბელადმა და გენიალურმა მხედართმთავარმა ამხანაგმა სტალინმა.

ამხანაგ **ტოლბუხინის** მხედართმთავრული ნიჭი, დაუშრეტელი ენერგია და მტკიცე ნებისყოფა მკაფიოდ გამოვლინდა სტალინგრადთან წარმოებულ ისტორიულ ბრძოლებში, დონბასიდან და ყირიმიდან გერმანელთა განდევნაში, მოძმე ბულგარელი ხალხის განთავისუფლებაში, ბუდაპეშტისა და ვენისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

მოსკოვის მშრომელები დიდი სიამაყის გრძნობით ადევნებდნენ თვალს იმ ჯარების საგმირო საქმეებს, რომლებსაც ამხანაგი **ტოლბუხინი** ხელმძღვანელობდა.

ჩვენ კარგად გვახსოვს, გამარჯვების პარადის ისტორიულ დღეს, 1945 წლის 24 ივნისს წითელ მოედანზე როგორ ჩაიარეს უკრაინის მე-3 ფრონტის სახელოვანმა მეომრებმა დიდი სამამულო ომის სახელმოხვეჭილი გმირის — საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **ტოლბუხინის** მეთაურობით.

ამხანაგი **ტოლბუხინი** თავდადებულად იბრძოდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

ამხანაგ **ტოლბუხინის** სახელი ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ. იგი დიდი პატივისცემით სარგებლობდა იმ ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა არმიამ ფაშისტი ბარბაროსებისაგან გაათავისუფლა.

თევდორე ივანეს-ძე **ტოლბუხინის** სახელოვანი ცხოვრების მაგალითით ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო ერთგულებას სოციალისტური სამშობლოსადმი და ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისადმი, ვხედავთ, რომ ჩვენს დიდ საბჭოთა ხალხში ნიჭიერ ორგანიზატორთა დაუშრეტელი რეზერვებია.

მამაცური სახე ამხანაგ **ტოლბუხინისა,** მგზნებარე საბჭოთა პატრიოტისა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ხალხის სამსახურს მოახმარა, სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. სტალინის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ბულგარეთის მთავრობისა და ბულგარელი ხალხის სახელით და პირადად ჩემი სახელით უღრმეს თანაგრძნობას გიცხადებთ გამოჩენილი საბჭოთა სარდლის, სამამულო ომში უკრაინის III ფრონტის სახელმოხვეჭილი სარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ თევდორე ივანეს-ძე **ტოლბუხინის** უდროოდ გარდაცვალების გამო.

ბულგარელი ხალხი განსაკუთრებით დიდი მწუხარებით შეხვდა მარშალ ტოლბუხინის დაკარგვას, რომელმაც, ახორციელებდა რა ჰიტლერელ თავდამსხმელთა განადგურების გენიალურ სტალინურ გეგმას და მეთაურობდა რა ძლევამოსილ საბჭოთა ჯარებს, ფაშისტური უღლისაგან გაათავისუფლა ჩვენი ქვეყანა.

საუკუნო იყოს მისი ნათელი ხსოვნა, რაც სამუდამოდ დარჩება მადლიერი ბულგარელი ხალხის გულში.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვასილ კოლაროვი

სოფია.
18. X. 1949 წ.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ სტალინს

მოსკოვი

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითად თანაგრძნობას გიცხადებთ საბჭოთა კავშირის მარშალის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ერთგული შვილის თევდორე ივანეს-ძე **ტოლბუხინის** გარდაცვალების გამო.

ბულგარელი ხალხი ღრმად არის დამწუხრებული სახელმოხვეჭილი მარშლის თევდორე ივანეს-ძე **ტოლბუხინის** დაკარგვის გამო, რომელიც სარდლობდა უკრაინის III ფრონტის იმ ძლევამოსილ ჯარებს, რომლებმაც, ახორციელებდნენ რა გენიალურ სტალინურ გეგმას, გაათავისუფლეს ჩვენი სამშობლო ფაშისტური უღლისაგან.

საუკუნო იყოს მისი ნათელი ხსოვნა.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სოფია.
18. X. 1949 წ.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს

მოსკოვი

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იზიარებს საბჭოთა მთავრობის, ბოლშევიკური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის, საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის შესანიშნავი სარდლისა და გმირის, საბჭოთა კავშირის მარშალ თევდორე **ტოლბუხინის** გარდაცვალების გამო.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები დამწუხრებული არიან სტალინური არმიის ერთ-ერთი სახელოვანი მეთაურის მარშალ ტოლბუხინის გარდაცვალების გამო, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ ჩვენი სამშობლოს გათავისუფლების საქმეში. მარშალ ტოლბუხინის სახით ჩვენმა ხალხმა დაკარგა გულწრფელი მეგობარი, ხალხთა მშვიდობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვის სტალინური პოლიტიკის ერთგული გამტარებელი. ჩვენი ხალხი ყოველთვის სიყვარულით, ერთგულებითა და აღტაცებით მოიგონებს მარშალ თევდორე ტოლბუხინის ნათელ ხსოვნას.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით
გ. გეორგიუ დეჟი

ბუქარესტი.
1949 წლის 18 ოქტომბერი.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ სტალინს

მოსკოვი, კრემლი

დიდად შემაძრწუნა ცნობამ სახელმოხვეჭილი მარშლის თევდორე ივანეს-ძე **ტოლბუხინის** გარდაცვალების შესახებ. გულწრფელ თანაგრძნობას გიცხადებთ თქვენ და საბჭოთა არმიას.

დიდი სარდლის ხსოვნას, რომელსაც 1945 წლის ისტორიულ დღეებში თავისი არმია გამარჯვებისაკენ მიჰყავდა, ჩემთან ერთად პატივს სცემს მარშლის მიერ ჰიტლერული უღლისაგან გათავისუფლებული ყველა ავსტრიელი.

ავსტრიის პრეზიდენტი დოქტორი
კარლ რენერი

ვენა.
1949 წლის 18 ოქტომბერი.

თ. ი. ტოლბუხინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი სოფიაში

სოფია, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს სოფიაში შედგა დედაქალაქის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგი, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის მარშალ თ. ი. ტოლბუხინის ხსოვნისადმი.

ტრიბუნაზე არიან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები: ვილკო ჩერვენკოვი, დობრი ტერპეშევი, ანტონ იუგოვი, დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე მინჩო ნეიჩევი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და კანდიდატები: გიორგი ჩანკოვი, ტიტკო ჩერნოკოლევი და დიმიტრ დიმოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადიმერ პოპტომოვი, სახალხო თავდაცვის მინისტრი გიორგი დამიანოვი, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში მ. ფ. ბოდროვი და სხვები.

სამგლოვიარო მიტინგი ბულგარეთის სახალხო მთავრობის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა ფრონტის ეროვნული საბჭოს სახელით გახსნა სოფიის საქალაქო სახალხო საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ყივკოვმა. სოფიის ასიათასობით მცხოვრებმა დაძაბული ყურადღებით მოისმინა სახალხო თავდაცვის მინისტრის დამიანოვის სიტყვა მიტინგზე სტალინური მხედართუფროსის შესახებ, რომლის ხელმძღვანელობითაც უკრაინის 3-ე ფრონტის ჯარებმა ბულგარეთი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს.

მიტინგის დამსწრეებმა ერთსულოვნად მიიღეს სამძიმრის დეპეშა გენერალისიმუს ი. ბ. სტალინისადმი მარშალ ტოლბუხინის გარდაცვალების გამო.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელები დაამწუხრა მარშალ თ. ი. ტოლბუხინის გარდაცვალებამ

პრაღა, 19 ოქტომბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ხალხი იზიარებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისა და საბჭოთა ხალხის მწუხარებას საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართუფროსის მარშალ თ. ი. ტოლბუხინის გარდაცვალების გამო. მარშალ თ. ი. ტოლბუხინის სახით, წერს გაზეთი „ობრანა ლიდუ“, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი გმირი, რომლის სახელიც დაკავშირებულია ფაშისტური უღლისაგან ევროპის მთელი რიგი ქვეყნების განთავისუფლებასთან.

გაზეთებმა სამგლოვიარო ჩარჩოებში მოათავსეს თ. ი. ტოლბუხინის პორტრეტები.

ბუნების გარდაქმნის დიად სამუშაოთა წელი

საუბარი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ს. გ. ხოშტარიასთან

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პარტიამ და მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიანი და ტყეველიანი რაიონების ბუნების გარდაქმნის შესახებ. საკოლმეურნეო მინდვრებში დაიწყო გეგმიანი და ფართო დანერგვა მიწათმოქმედების გასაუმჯობესებელ აგრონომიულ ღონისძიებათა სისტემისა, რაც ემყარება გამოჩენილი რუსი აგრონომების ვ. ვ. დოკუჩაევის, პ. ა. კოსტიჩევის და ვ. რ. ვილიამსის მოძღვრებას, რომელმაც მიიღო მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის სახელწოდება.

განხორციელება ამ გრანდიოზული სახელმწიფო გეგმისა, რომლის მიღებითაც გადამწყვეტი ომი გამოეცხადა გვალვასა და მოუსავლიანობას ჩვენი ქვეყნის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიან რაიონებში, უხვი და მყარი მოსავლის პირდაპირ გზაზე დააყენებს ჩვენს სოფლის მეურნეობას, დიდად ნაყოფიერს გახდის კოლმეურნეთა შრომას და გაადიდებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ძლიერებას.

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა პარტიისა და მთავრობის ისტორიულ დადგენილებას და სამართლიანად უწოდა მას ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა. კოლმეურნე გლეხობამ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების, ტყის სანერგეების მუშაკებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილებით ვალდებულება იკისრეს ერთიორად, ერთისამად შეამცირონ მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების და მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის სხვა ღონისძიებათა განხორციელების დაწესებული ვადები.

1949 წელს სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიანი და ტყეველიანი რაიონების კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სატყეო მეურნეობებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს მინდორსაცავი ტყის გაშენების გეგმის შესრულებაში. წლიური გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, გაშენებულია 280 ათას ჰექტარზე მეტი ტყე. გარდა ამისა, გამზადებულია 540 ათასი ჰექტარი მომავალში ტყის გასაშენებლად. ტყის სანერგეების გაშენების გეგმა შესრულებულია 111 პროცენტით.

ამა წლის გაზაფხულზე ტყის გაშენების სამუშაოებს ეწეოდნენ 1.500-ზე მეტი რაიონის თითქმის 50 ათას კოლმეურნეობაში. ამ კოლმეურნეობებში მოეწყო 60 ათასამდე მეტყეველობის რგოლი.

ასრულებდნენ რა ამხანაგ სტალინის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო რგვის გეგმა შეასრულეს 194,3 პროცენტით და წლიური გეგმა—127,6 პროცენტით.

კოლმეურნეობებმა გაზაფხულზე სულ დარგეს ხისა და ბუჩქის ჯიშის ერთ მილიარდამდე ნერგი და კალამი.

მინდორსაცავი ტყის გაშენების სამუშაოთა შესრულებაში, აგრეთვე გუბურებისა და წყალსატევების შენებლობაში კოლმეურნეობებს დიდი დახმარება გაუწიეს ტყესაცავმა სადგურებმა.

ამჟამად კოლმეურნეობებში ჩაღდება ტყის გაშენების სამომდგომო სამუშაოები.

1950 წლის გაზაფხულიდან სატყეო ზოლების გაშენება, როგორც წესი, მოხდება ბუდობრივად ტ. დ. ლისენკოს მეთოდით. მომავალი წლისათვის კოლმეურნეობებმა გეგმის მიხედვით უნდა გააშენონ სატყეო ზოლები 350 ათას ჰექტარზე და ამ გეგმის მეტი წილი შესრულდება ბუდობრივად, თესვის მეთოდით. ყველა რაიონში მუხის გასაშენებლად გამოსადეგ ნიადაგზე ტყის გაშენების შემადგენლობაში სავალდებულო წესით იქნება შეტანილი ეს მყარი და გამძლე ჯიში.

ამა წლის შემოდგომაზე კოლმეურნეობები დიდ მუშაობას ეწევიან რკოს მოსაკრეფად. ეს ღონისძიება ამჟამად ძირითადია ბუნების გარდაქმნის განხორციელების საქმეში.

სახელმწიფო მინდორსაცავი სატყეო ზოლებისათვის მიწების გამოსაყოფად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტრომ ექვსი ექსპედიცია მოაწყეს. ექვს სახელმწიფო ზოლში უკვე დამთავრდა მინდვრის სამუშაოები მიწების გამოსაყოფად. ორ დანარჩენ ზოლში (ვიშნევაიას მთა—კასპიის ზღვა და სტალინგრადი—სტეპნოი—ჩერკესკი) მინდვრის სამუშაოები დამთავრდება ამა წლის ნოემბრის პირველ ნახევარში.

მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს მინდვრისა და საკვები ნათესბალახიანი თესლბრუნვის შემოღება და ათვისება. 1949 წელს თესლბრუნვა უნდა შემოეღოთ ველიანი და ტყეველიანი რაიონების 10.866 კოლმეურნეობაში. 1 ოქტომბრისათვის ეს გეგმა შესრულებულია 70 პროცენტით.

ახლა მოწმდება შემოღებული თესლბრუნვა მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის მოთხოვნების შესაბამისად. შემოწმება წელს დამთავრდება.

ველიან და ტყეველიან რაიონებში მინდვრის თესლბრუნვის ათვისების წლიური გეგმა შესრულებულია 88 პროცენტით. გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს უკრაინის სს რესპუბლიკამ, კურსკის, როსტოვის, ჩკალოვის და ტულის ოლქებმა.

ველიანი და ტყეველიანი ზონების კოლმეურნეობებში საფუძველი ჩაეყარა 1950 და 1951 წლებში ნათესბალახიანი თესლბრუნვის წარმატებითს ათვისებას. წელს ბალახი დაითესა 8.773 კოლმეურნეობის მინდვრის თესლბრუნვის მთელ მინდვრებში.

ველიანი და ტყეველიანი რაიონების ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა შეიცავს ნიადაგის დამუშავების სწორი სისტემის ათვისების, ორგანული და მინერალური სასუქის გამოყენების მთელ რიგ ღონისძიებებს. ნაწვერალის აოშვა, როგორც სარეველებთან და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ჩატარდა 3,5-ჯერ მეტ ფართობზე, ვიდრე 1948 წელს. ყველაზე უკეთ ეს მუშაობა შესრულებულია კრასნოდარის მხარის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ყირიმისა და როსტოვის ოლქების კოლმეურნეობებში.

ფართოდ ხორციელდება ანეულისა და მზრალის ხვნა წინასახნისიანი გუთნებით, მზრალად ნახნავის კულტივაცია და საშემოდგომო ანეულის ხვნა.

ველიანი და ტყეველიანი რაიონების კოლმეურნეობებმა წელს 36,5 პროცენტით მეტი ნაკელი შეიტანეს მინდვრებში, ვიდრე შარშან.

ველიანი და ტყეველიანი რაიონების კოლმეურნეობები წელს ძირითადად გადავიდნენ საშემოდგომო კულტურების ჯიშიანი თესლის თესვაზე. ამ კულტურებს ეკავა მთელი ფართობის 91 პროცენტი, ხოლო თათრეთის ასსრ, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, ჩკალოვისა და როსტოვის ოლქების კოლმეურნეობებში — 97 პროცენტზე მეტი.

ამჟამად იღებენ ღონისძიებებს საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლის შენახვის გასადიდებლად.

ბუნების გარდაქმნის გეგმაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გუბურებისა და წყალსატევების შექმნას. 10 ოქტომბრისათვის დამთავრდა 2.982 გუბურისა და წყალსატევის მშენებლობა, რაც შეადგენს გეგმის 63 პროცენტს. გარდა ამისა, კაპიტალურად შეკეთებულ და აღდგენილ იქნა დაახლოებით 2.000 გუბურა და წყალსატევი. ამჟამად შენდება კიდევ რამდენიმე ათასი წყალსატევი და გუბურა.

* * *

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით სოციალისტური სოფლის მეურნეობის მილიონობით მშრომელმა ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელების პირველ წელს დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია. კოლმეურნეობები ემზადებიან ახალი დიადი სამუშაოებისათვის გვალვის წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩვენი ქვეყნის ველიან და ტყეველიან რაიონებში უხვი და მყარი მოსავლის მისაღებად. მათს წარმატებითს განხორციელებას ხელს შეუწყობს ის, რომ ფართოდ გამოვიყენოთ გამოცდილება საუკეთესო კოლმეურნეობებისა და მოწინავე კოლმეურნეებისა, ტყესაცავი და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა, რომლებიც ბუნების გარდაქმნისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან.

(საკვესი).

ჩვენ გვწერენ

პისარევის ქუჩას მისასვლელი გზა არ უვარგა

სულ უფრო იზრდება და მშვენიერდება ჩვენი დედაქალაქი თბილისი. მისი ლამაზი, კეთილმოწყობილი ქუჩები და შენობები საერთო ყურადღებას იპყრობს. მაგრამ, სამწუხაროდ ეს არ ითქმის მოლოტოვის რაიონის პისარევის ქუჩის შესახებ. ქუჩას მისასვლელი გზა არ უვარგა. არ არის დაგებული ქვაფენილი და არც კანალიზაციის ქსელია მოწყობილი. ამის გამო აქ წვიმის დროს გავლა ძნელია.

ქუჩის მოუწყობლობის გამო ზამთრობით აქაურ მცხოვრებთ საშუალება არა აქვთ ავტოტრანსპორტით ისარგებლონ. ამ საკითხის მოგვარება ბევრ საშუაოს არ მოითხოვს. საჭიროა 150 მეტრის მანძილზე — კრამიტის ქუჩიდან შეკეთდეს მისასვლელი გზა, და დაბრკოლება თავიდან იქნება აცილებული.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უნდა მოაგვაროს ეს მეტად ადვილი საქმე.

ინჟინერი შალვა ბასანიძე

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„გაიგებს, როგორ არ გაიგებს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 4 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა პატარა ფელეტონი, რომელშიც კომბინაციებში მხილებული იყვნენ მახარაძის რაიონში არსებული არტელ „ინვალიდთა ამხანაგობის“ მუშაკები აკ. აბაშიძე, ბუჰხალტერი ლ. ფასეიშვილი, მოლარე ზ. ბაჯელიძე და სხვ.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. სიხარულიძე გვატყობინებს, რომ პატარა ფელეტონში დასახელებულ ბოროტმოქმედთა მიმართ წაყენებული ბრალდებანი დადასტურდა.

რაიკომის ბიურომ განიხილა არტელ „ინვალიდთა ამხანაგობის“ საკითხი. არტელის გამგეობის თავმჯდომარე შ. თალაკვაძე, რომელმაც თავი ვერ გაართვა მუშაობას მოხსნილია სამუშაოდან, ხოლო ა. აბაშიძის ლ. ფასეიშვილისა და ზ. ბაჯელიძის საქმე გადაეცა პროკურატურას მათი პასუხისგებაში მისაცემად.

რაიკომის ბიურომ დასახა სათანადო ღონისძიებანი არტელის მუშაობის გასაჯანსაღებლად.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის VIII პლენუმი

ამ დღეებში შედგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის VIII პლენუმი, რომელმაც მოისმინა საკითხი — 1949 წელს ჟურნალ „მნათობისა“ და გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ მუშაობის შესახებ.

— საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 და 26 აგვისტოს ისტორიულმა დადგენილებებმა,— აღნიშნა თავის მოხსენებაში ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორმა ამხ. ირ. აბაშიძემ, — სალიტერატურო ორგანოების მუშაკები შეგვაიარაღა მაღალი იდეურობისათვის საბრძოლველად. იგი დაგვეხმარა აღმოგვეფხვრა ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებიდან უიდეობისა და უსაგნობის ის რეციდივები, რომლებმაც თავი იჩინეს სამამულო ომის დამთავრებისთანავე ჩვენი ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დროზე სპეციალური დადგენილება მიიღო ჟურნალ „მნათობის“ მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და დაგვისახა მთელი რიგი საბრძოლო ამოცანები. მაგრამ „მნათობის“ რედაქციამ, — აღნიშნავს ამხ. ირ. აბაშიძე, — დღემდე ვერ შეძლო დასახულ ამოცანათა მთლიანად განხორციელება.

როგორც სამართლიანად აღნიშნა თანამომხსენებელმა ამხ. შ. აფხაიძემ, ჟურნალ „მნათობის“ 1949 წლის ნომრებში ძალიან ცოტა დაიბეჭდა იდეურად ღრმა და მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოებები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეოთხე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ გიგანტურ მშენებლობებზე მომუშავე ადამიანთა შესახებ.

ჟურნალში გამოქვეყნებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების გვერდით, როგორიცაა კ. გამსახურდიას რომანი „დავით აღმაშენებელი“, დ. ბაქრაძის მოთხრობა „გმირთა სისხლით“, დ. შენგელაიას, კ. ლორთქიფანიძის, ს. კლდიაშვილის, ნ. აბაშიძის პროზაული ნაწარმოებნი, ი. მოსაშვილის, ალ. აბაშელის, რ. მარგიანის ლექსები და სხვა, ადგილი აქვს დათმობილი მთელ რიგ მხატვრულად მდარე, სქემატურ, ენობრივად გაუმართავ ნაწარმოებებს (გ. ტალახაძის—„მხარდამხარ“, ფ. დგებუაძის — „ნათელი დღეები“, ნ. დოლიძის „ერთ ახალშენზე“, მამფორიას „ავტოგიგანტის კიდლებთან“, შ. ფორჩხიძის „სამგორის წვიმა“ და სხვ.).

ჟურნალი ჩამორჩება აგრეთვე ქართული მხატვრობის, მუსიკისა და თეატრალური ხელოვნების საკითხების გაშუქების საქმეში.

ამხ. შ. აფხაიძემ აგრეთვე ილაპარაკა ჟურნალ „მნათობში“ ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენილობაზე. ჟურნალში იშვიათად იბეჭდება პარტიული პრინციპულობით გაჟღენთილი კრიტიკული სტატიები თანამედროვე საბჭოთა ქართულ ლიტერატურაზე, რომლებიც მკაფიოდ აყენებდნენ საკითხებს მარქსისტული ესთეტიკიდან, იძლეოდნენ ნაწარმოებთა ვრცელ იდეურ-პოლიტიკურ ანალიზს.

დასასრულ თანამომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჟურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგია, რომელიც 11 წევრისაგან შედგება, ოპერატიულად ვერ მუშაობს. ხშირად სარედაქციო კოლეგიის წევრებმა არ იციან, თუ რა მასალა იბეჭდება ჟურნალში.

გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთის რედაქტორმა ამხ. გ. ნატროშვილმა.

— საბჭოთა ლიტერატურულმა პრესამ, — აღნიშნა მომხსენებელმა, — აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ ბრძოლაში, რომელსაც მშვიდობისა და დემოკრატიის ძალები საბჭოთა კავშირის მეთაურობით აწარმოებენ მთელ მსოფლიოში რეაქციული ბნელეთისმოციქულებისა და ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქციამ სცადა გარდაექმნა გაზეთის მუშაობა ამ მიმართულებით, გაეფართოებინა გაზეთის თემატიკა, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილების თემად გაეხადა ბრძოლა უცხოეთის ბურჟუაზიული კულტურის წინაშე ქედმოხრის წინააღმდეგ.

შემდეგ ამხ. გ. ნატროშვილი გადადის გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ ფურცლებზე 1949 წელს გამოქვეყნებული მხატვრული პროდუქციის მიმოხილვაზე.

გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ მუშაობის შესახებ თანამოხსენებით გაძოვიდა ამხ. გრ. აბაშიძე. მან თავისი მოხსენება დაიწყო პოეზიის მიმოხილვით და აღნიშნა, რომ გაზეთის ფურცლებზე ნაკლებად ქვეყნდება აქტუალური, მომენტის შესაფერისი, მაღალიდეური ლექსები.

გაზეთი საკმაო ადგილს უთმობს ნარკვევებს, მაგრამ ხშირად ისინი ვერ დგანან სათანადო მხატვრულ სიმაღლეზე. მართალია, სისტემატურად იბეჭდება რეცენზიები ახლად გამოსულ წიგნებზე, მაგრამ ზოგჯერ ისინი ზერელეა.

გაზეთში სუსტადაა წარმოდგენილი რაიონული თეატრების ცხოვრება, ხოლო მუსიკალური შემოქმედების კრიტიკა ძლიერ სუსტია.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდა ამხ. შ. რადიანი. მან უსაყვედურა „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქციას, რომ იგი არ ცდილობს გამოავლინოს და დააწინაუროს კრიტიკოსთა ახალგაზრდა კადრები.

ე. ბეკოევმა, პ. ლორიამ და ს. წვერავამ დააყენეს პერიფერიებში მომუშავე მწერლებთან სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების რედაქციების დამოკიდებულების გაუმჯობესების საკითხი.

გ. შატბერაშვილი „მნათობის“ რედაქციას უსაყვედურებს, რომ იგი ხშირად ყურადღებით არ ეკიდება სექციებში მოწონებულ ნაწარმოებთა ბეჭდვას. განსაკუთრებით ეს ითქმის ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ამხ. ი. დოლიძე შეეხო თეატრების რეპერტუარის გაუმჯობესების საკითხს. მან აღნიშნა, რომ გასულ წელს კონკურსზე პრემირებულმა ზოგიერთმა პიესამ ვერ გაამართლა ის შეფასება, რასაც მათ აძლევდნენ ჟიურის წევრები.

ს. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ კამათში გამოსულმა ზოგიერთმა ამხანაგმა სათანადოდ ვერ გამოავლინა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო მუშაობის მტკივნეული საკითხები. ეს ამხანაგები უმთავრესად პირადი ლაბორატორიული მუშაობის ჩვენებით დაკმაყოფილდნენ.

ს. ჩიქოვანი აკრიტიკებს ჟურნალ „მნათობის“ მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, სარედაქციო კოლეგიის სუსტ მუშაობას. მან გააჩინა „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული რამდენიმე სუსტი მოთხრობა, რომლებიც მხოლოდ ცარიელი სქემებია, ეს მაშინ, როდესაც „მნათობის“ რედაქციაში წლობით ჭიანურდება იდეურად და მხატვრულად გამართულ ზოგიერთ ნაწარმოებთა ბეჭდვა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ს. თავაძემ, ო. ჭელიძემ, მ. ქვლივიძემ, ა. ჭეიშვილმა, პ. ბახტურიძემ, შ. კვასხვაძემ და ნ. დოლიძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. რ. შადური.

პლენუმმა განხილული საკითხების გამო მიიღო სათანადო ღონისძიება, რომელშიც გათვალისწინებულია ჟურნალ „მნათობისა“ და გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ სარედაქციო კოლეგიების გადახალისება.

მობრუნების პუნქტი ევროპის ისტორიაში

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიულმა მისალმებამ პრეზიდენტ ვილჰელმ პიკისა და პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლისადმი გერმანიაში აღფრთოვანებული გამოხმაურება გამოიწვია. მას უდიდესი რეზონანსი ჰქონდა მთელ მსოფლიოში. მძლავრი პროეექტორის შუქით განათებულივით წარმოდგა მთელი მსოფლიოს წინაშე იმ ამბების უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა, რაც გერმანიაში ხდება, პირველ რიგში მათი მნიშვნელობა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის, ახალი პერსპექტივა გადაიშალა არა მარტო გერმანელი ხალხის, არამედ ევროპის ყველა ხალხის წინაშეც.

ამხანაგმა სტალინმა გერმანიის დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე რესპუბლიკის შექმნა დაახასიათა, როგორც მობრუნების პუნქტი ევროპის ისტორიაში. ჭეშმარიტად ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ისეთი ფაქტორის მნიშვნელობა, როგორიცაა მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირის არსებობასთან ერთად მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის არსებობა. ეს ბოლოს უღებს იმ მტრობას, რომელიც წარსულში არსებობდა გერმანიისა და მის მეზობელ სახელმწიფოთა ხალხებს შორის და რომელსაც შეუპოვრად აჩაღებდნენ და უწყობდნენ ხელს ათობით წლის განმავლობაში როგორც გერმანელი იმპერიალისტები, ისე სხვა ქვეყნების იმპერიალისტები, რომლებიც თავიანთ შავბნელ, ანგარებით მიზნებს ისახავდნენ.

კონფლიქტებს, უთანხმოებას, შეტაკებას ცვლის და უკვე შეცვალა გერმანიისა და მისი მეზობელი დემოკრატიული სახელმწიფოების, პირველ რიგში, სსრ კავშირისა და გერმანიის ახალმა ურთიერთობამ. ეს ურთიერთობა დამყარებულია თვითეული მხარის ეროვნული სუვერენიტეტისა და ინტერესების ურთიერთ პატივისცემაზე. ის გამორიცხავს დიქტატის პოლიტიკას და მტკიცდება მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისათვის, ომის თავიდან აცილებისათვის საერთო ბრძოლით.

ეს ჭეშმარიტად ისტორიული გარდატეხაა საბჭოთა და გერმანელი ხალხების ურთიერთობაში, ევროპის განვითარებაში. „უკანასკნელი ომის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამ ომში ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღეს გერმანელმა და საბჭოთა ხალხებმა, რომ ამ ორ ხალხს ყველაზე მეტი პოტენციალი აქვს ევროპაში მსოფლიო მნიშვნელობის დიდი აქციების მოსახდენად. თუ ეს ორი ხალხი გამოიჩენს მტკიცე ნებას იბრძოლონ მშვიდობისათვის თავისი ძალების ისეთივე დაძაბვით, როგორითაც ისინი ომს ეწეოდნენ, მშვიდობა ევროპაში უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს“ (ი. სტალინი).

თავიანთ პასუხში ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი მადლობას უცხადებენ საბჭოთა მთავრობას და ამხანაგ სტალინს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობისათვის მმართველობის იმ ფუნქციების გადაცემისათვის, რომლებიც წინათ საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციას ეკუთვნოდა.

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობისათვის მმართველობის ფუნქციების გადაცემის შესახებ ლოგიკურად გამომდინარეობს მთელი თანმიმდევრული მშვიდობიანი პოლიტიკიდან, რასაც სსრ კავშირი გერმანიის მიმართ ახორციელებს. მშვიდობიანი პოლიტიკის ასევითვე ლოგიკური შედეგია დიპლომატიური მისიების უკვე მომზადარი გაცვლა სსრ კავშირის მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით მთავრობას შორის, რასაც საბჭოთა მთავრობა ძირითადად განიხილავს როგორც ოფიციალურ ურთიერთცნობას.

საბჭოთა ხალხსა და მის მთავრობას არასოდეს არ გაუგიგვებია გერმანელი ხალხი და ჰიტლერელთა ხროვა. ეწეოდა რა ომს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ და ცდილობდა რა დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანის განხორციელებას — ჰიტლერული ავაზაკური იმპერიის მოსპობას, საბჭოთა ხალხს ამავე დროს არასოდეს მიზნად არ დაუსახავს გერმანელი ხალხისადმი შურისძიება, გერმანიის სახელმწიფოს მოსპობა ან დანაწილება. გერმანიაზე გამარჯვების დღეს, 1945 წლის 9 მაისს, ამხანაგი სტალინი ხალხისადმი მიმართვაში აღნიშნავდა: „საბჭოთა კავშირი ზეიმობს გამარჯვებას, თუმცა იგი არ აპირებს გერმანიის არც დანაწილებას და არც მოსპობას“.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ერთგულია მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლის სტალინური პოლიტიკისა, მოსპო რა ფაშისტური სახელმწიფო და გაანადგურა რა ჰიტლერელთა იმპერიალისტური გეგმები, მუდამ იცავდა ერთიან, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ გერმანიის გადაქცევის კურსს. სწორედ ეს მიზანი დაედო საფუძვლად პოტსდამის გადაწყვეტილებებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი განუხრელად იცავდა თავის პოლიტიკაში გერმანიის მიმართ.

საბჭოთა პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო. მან ხელ-ფეხი გაუხსნა გერმანელი ხალხის მძლავრ დემოკრატიულ ძალებს, მან გერმანელი ხალხის წინაშე გახსნა ახალი ცხოვრების გზა, ამ გზაზე ისტორიული გარდატეხის შესრულების შესაძლებლობა. საბჭოთა კავშირი განუხრელად იბრძოდა გერმანიის გათიშვის პოლიტიკის წინააღმდეგ და განუხრელად იცავდა გერმანიის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ერთიანობის შენარჩუნების აუცილებლობას მშვიდობიანი დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში.

მაგრამ ასეთი როდი იყო დასავლეთ სახელმწიფოთა პოლიტიკა, რამაც ის გამოიწვია, რომ გერმანელი ხალხის წინაშე კვლავ წარმოიშვა ეროვნული კატასტროფის საფრთხე, თავისუფლებისადმი, დამოუკიდებლობისადმი, თავისი ეროვნული სუვერენული უფლებების შენარჩუნებისადმი, მშვიდობისმოყვარე ხალხების ოჯახში დაბრუნებისადმი მთელი მისი მისწრაფების გაქარწყლების საფრთხე. დასავლეთ გერმანიაში ბონის მარიონეტული „მთავრობის“ შექმნა წარმოადგენს გერმანიის გათიშვისა და დანაწილების იმ პოლიტიკის დამთავრებას, რომელსაც ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები ახორციელებდნენ ომისშემდგომი პირველი დღეებიდანვე. ამ პოლიტიკის მიზანი ის არის, რომ დაიმონონ გერმანელი ხალხი, ააღორძინონ გერმანიის ფაშიზმი, გერმანიის აგრესია და ისინი თავიანთი დანაშაულებრივი ზრახვების განსახორციელებლად გამოიყენონ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება გერმანელი ხალხის დიდი უმრავლესობის, მისი სულ უფრო მზარდი დემოკრატიული ძალების პასუხია ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტების გამთიშველ პოლიტიკაზე, რომლებიც ისწრაფვიან დასავლეთი გერმანია გადააქციონ ამერიკის იმპერიალიზმის სამფლობელოდ, სტრატეგიულ პლაცდარმად, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

საფუძველს უყრის რა ერთიან, დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე გერმანიას, გერმანელი ხალხი ამით უცხადებს ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტებს, რომ იგი არ აპირებს საზარბაზნე ხორცი მიაწოდოს ომის გამჩაღებლებს, რომ მას არა სურს იმპერიალისტური მონობა. გერმანელი ხალხი გამოცდილებას იძენს ისტორიის მძიმე გაკვეთილებში. მას როდი დავიწყნია თავისი წარსულის ბნელი და სამინელი ფურცლები. მას არა სურს იყოს კაიზერ ვილჰელმისა და ჰიტლერის ხალხი ან იარაღი უოლ-სტრიტისა და სიტის ბატონთა ხელში. გერმანელი ხალხი ახალ ცხოვრებას იწყებს. გერმანელმა ხალხმა მსოფლიოს მისცა გოეთე და შილერი, ბახი და ბეთჰოვენი, მარქსი და ენგელსი, ბებელი და ტელმანი. ახალ ისტორიულ პირობებში იგი თავის ადგილს ხედავს მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკში.

გერმანიის მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა იმპერიალისტების ბანაკისათვის, ომის გამჩაღებელთა ბანაკისათვის ჩაცემული ძლიერი ლახვარია. თავისთავად იგულისხმება, რომ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტური ბლოკის მეთაურები არ მოისურვებენ წინააღმდეგობის გაუწევლად შეურიგდნენ იმ ძირითად ობობრუნებას, რომელიც გერმანელი ხალხის ცხოვრებაში, ევროპის ცხოვრებაში მოხდა. შეიძლება არ დავუჭვდეთ, რომ ისინი ყოველგვარ დაბრკოლებას, ყოველგვარ სიძნელეს შექმნიან გერმანიის ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების გზაზე.

მაგრამ იმპერიალისტები გადაჭარბებით ნუ აფასებენ თავიანთ ძალებს. ომის გამჩაღებელთა ბანაკს უპირისპირდება მშვიდობისა და დემოკრატიის ძლიერი და განუხრელად მზარდი ბანაკი, რომელსაც მხარს უჭერენ მშვიდობის აურაცხელი მომხრენი მთელ მსოფლიოში. გერმანელი ხალხი თავის ახალ გზაზე—ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის, მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის ბრძოლის გზაზე — მსოფლიოს ყველა ხალხის, პირველ რიგში, საბჭოთა ხალხის დიდ თანაგრძნობასა და აქტიურ მხარდაჭერას ჰპოვებს.

„პრავდის“ 19/X მოწინავე

დამთავრდა რესპუბლიკური შეჯიბრება ცხენოსნობაში

ლ. პ. ბერიას სახელობის თასი კვლავ ზუგდიდელებმა მოიპოვეს

19 ოქტომბერს შეჯიბრება დაიწყო წრეობრივი სისტემით ისინდში. ერთმანეთს შეხვდნენ გუდაუთისა და ფოთის გუნდები. ფოთელების გუნდმა აჯობა გუდაუთას. ხობისა და ზუგდიდის გუნდებს შორის შეჯიბრება ისინდში ფრედ დამთავრდა.

ისინდის შემდეგ დაიწყო კოლმეურნე ცხენოსანთა შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში (რთული კლასი). შეჯიბრების ეს სახე ითვალისწინებს 15 დაბრკოლების გადალახვას 17 ნახტომით. მონაწილეობდნენ აგრეთვე სპორტსაზოგადოება „სპარტაკისა“ და „დინამოს“ გუნდები. გამარჯვება მოიპოვა და პირველი ადგილი აიღო სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ნორჩმა მხედარმა მ. ძიძიგურმა. მან ყველა დაბრკოლება გადალახა 4 საჯარიმო ქულით. მეორე ადგილი დაიკავა სპარტაკელმა კორნეევმა, ხოლო მესამე ადგილზე გამოვიდა მხედარი ქალი სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ნ. ვასილევა-როგე („სპარტაკი“).

ამ დღეს დამთავრდა შეჯიბრება კლასიკურ სამჭიდში. ცხენოსნური სპორტის ამ სახეში შედის სამანეეთ და საველე სვლა, აგრეთვე დაბრკოლებათა გადალახვა. შეჯიბრება მოეწყო გუნდურ პირველობაზე. ცხენოსნური სპორტის ამ სახეში პირველ ადგილზე გამოვიდა წალენჯიხის გუნდი, მეორე ადგილი დაიკავა ცხაკაიას გუნდმა, ხოლო მესამე ადგილი—ზუგდიდის გუნდმა.

ცოველი ინტერესი გამოიწვია სარკოლოდ ხტომებმა სიმაღლესა და სიგრძეზე, რომელშიც მონაწილეობდნენ შეჯიბრების მონაწილე გუნდების წარმომადგენლები, აგრეთვე „სპარტაკისა“ და „დინამოს“ ცხენოსნები. შეჯიბრება გიმართა პირად პირველობაზე. პირველობა ეჭარ სსრ კავშირის სპორტის ოსტატს ნ. ვასილევა-როგეს, რომელიც თავისი ცხენით გადახტა 180 სანტიმეტრ სიმაღლეზე. ამით მან დაამყარა აგრეთვე საქართ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-4 სესიაზე

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). 13 ოქტომბერს შედგა სამი სხდომა № 17 ქვეკომიტეტისა, რომელიც პოლიტიკურმა კომიტეტმა შექმნა იტალიის ყოფილი კოლონიების შესახებ რეზოლუციების პროექტების განსახილველად. ქვეკომიტეტი განიხილავდა რეკომენდაციებს ლიბიის შესახებ.

ქვეკომიტეტმა აღიარა, რომ ლიბია მომავალში ერთიანი სუვერენული სახელმწიფო უნდა იქნეს. ამ საკითხს განხილვის დროს ზოგიერთი დელეგაცია ცდილობდა საქმე ისე წარმოუდგინა, თითქოს ლიბია, როგორც მთლიანი ქვეყანა, არ არსებობს.

ბრაზილიის წარმომადგენელი მუნიზი ლაპარაკობდა, რომ ერთიანობა არ შეიძლება თავსმოხვეული იქნას ზემოდან, რომ ერთიანობა შეიძლება წარმოშვას სხვადასხვა ელემენტისაგან თანდათანობითი და ხანგრძლივი თანამშრომლობის გზით. არგენტინის დელეგაციის ხელმძღვანელმა არსებ განაცხადა, რომ თუ თვით ლიბიის მოსახლეობა მომავალში მოისურვებს თავისი ქვეყნის გაყოფას, იგი ასეთი გაყოფის წინააღმდეგ ვერაფერს ვერ იტყვის. ეს აზრები გამოხატავენ ტენდენციას, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ ლიბია გაჰყონ კოლონიური სახელმწიფოთა შორის. საფრანგეთს სურს რაიმე ფორმით შეინარჩუნოს კონტროლი ლიბიის ერთი ნაწილის — ფეზანისადმი, რომელიც მას ამჟამად ოკუპირებული აქვს. იტალია ცდილობს როგორმე კვლავ შეაღწიოს ტრიპოლიტანიაში მაინც, ხოლო კირენაიკაში ინგლისელებმა დაამყარეს ემირ ეს-სენუსის მარიონეტული რეჟიმი.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა როსმა განაცხადა: მე ომის მომხრე ვარ, რომ ამჟამად ლიბიის ერთიანობის საკითხი არ გადაიჭრასო.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. არუთინიანმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია დგას იმ პოზიციაზე, რომ ლიბიას დაუყოვნებლივ მიენიჭოს დამოუკიდებლობა. მან თქვა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია სხვა დელეგაციების კონკრეტულ წინადადებებს ამ პოზიციებიდან განიხილავს. შემდეგ მან გააკრიტიკა არგენტინის, ბრაზილიისა და სხვა წარმომადგენლების შეხედულებანი და დაიცვა ერთიანი სუვერენული სახელმწიფოს პრინციპი ლიბიის მიმართ. მან ცხადყო, რომ ლიბიის გაყოფა, რაც ამჟამად აქტიურად ახორციელებენ ლიბიაში მმართველი ხელისუფალნი — დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, — ეწინააღმდეგება ლიბიის მოსახლეობის ინტერესებს და იგი გამოხატავს პოლიტიკას „გასთიშე და იბატონე" — კოლონიური სახელმწიფოების ჩვეულებრივ პოლიტიკას.

არაბთა ქვეყნების წარმომადგენლებმაც ქვეკომიტეტში ანალოგიური შეხედულებანი გამოთქვეს.

შემდეგი საკითხი, რამაც გაცხოველებული მსჯელობა გამოიწვია ქვეკომიტეტში, იყო საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა განსაზღვროს მომავალი ლიბიის კონსტიტუცია. ქვეკომიტეტმა ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ აღიარა, რომ ეს უნდა იყოს ლიბიის ეროვნული ასამბლეის ამოცანა.

ბრაზილიის წარმომადგენელმა შეიტანა წინადადება, რომ გენერალურმა ასამბლეამ დანიშნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისარი მთავრობის შესაქმნელად და კონსტიტუციის შემუშავებაში ლიბიელი ხალხისათვის დასახმარებლად. ამ ამოცანის შესრულებისას უმაღლესი კომისარი, ბრაზილიის წინადადების თანახმად, უნდა სარგებლობდეს საეკონომიური საკონსულტაციო საბჭოს დახმარებით, რომელშიც შევლენ საფრანგეთის, იტალიის, ეგვიპტის, პაკისტანის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობის სამი წარმომადგენელი — თითო წარმომადგენელი — კირენაიკის, ტრიპოლიტანიისა და ფეზანისაგან.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და პაკისტანის დელეგაციებმა შეიტანეს ბრაზილიის დელეგაციის ანალოგიური წინადადება, მაგრამ უმაღლესი კომისრის გამოკლებით.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა მაკნეილმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ლიბიის შესახებ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების განსახორციელებლად შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რაიმე ორგანო. იგი განსაკუთრებით ილაშქრებდა საკონსულტაციო საბჭოს ან სხვა რაიმე კომისიის შექმნის წინააღმდეგ, მაგრამ შესაძლებლად მიაჩნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისრის დანიშვნა.

ამასთან მან დასძინა, რომ უმაღლეს კომისარს შეუძლია ისარგებლოს სხვადასხვა ექსპერტის სამსახურით.

საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ წინადადების დაცვაში დიდი აქტივობა გამოიჩინა არსემ (არგენტინა). თავის მრავალგზის გამოსვლაში იგი ამტკიცებდა, რომ საკონსულტაციო საბჭო საჭიროა სწორედ იმისათვის, რომ დაიცვას დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის ინტერესები. მან პირდაპირაც კი განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთს შეუძლია არ შეშფოთდეს, ვინაიდან საკონსულტაციო საბჭოს უმრავლესობა მის მხარეზე იქნება.

პოლონეთის წარმომადგენელმა კაც-სუხომ წინადადება შეიტანა — საკონსულტაციო საბჭოში შეყვანილ იქნას სსრ კავშირი, რომელიც ერთადერთი სახელმწიფოა დიდ სახელმწიფოთა შორის, რომელსაც შეუძლია სათანადოდ უზრუნველყოს ლიბიის მოსახლეობის ინტერესების დაცვა. კაც-სუხომ აგრეთვე აღნიშნა, რომ სსრ კავშირი არ ხელმძღვანელობს იმ სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებით, რომლებითაც ამ რაიონში ხელმძღვანელობენ დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი.

პოლონეთის წინადადებამ ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია ქვეკომიტეტის ზოგიერთ წევრში. არსებ პირდაპირ განაცხადა, საკონსულტაციო საბჭოში სსრ კავშირის შეყვანა საჭირო არ არისო. სხვა დელეგაციები თავის სიტყვებში ბეჯითად უვლიდნენ გვერდს პოლონეთის წინადადებას. ეგვიპტისა და ავსტრალიის წარმომადგენლები ცდილობდნენ სხვადასხვა გამოსვლებითა და წინადადებებით, რომელთაც საერთო არა აქვთ რა საქმესთან, გაეჭიანურებინათ კენჭისყარელად პოლონეთის წინადადების დასმა და მის წინააღმდეგ გამოეყენებინათ რაიმე საპროცედურო გიღოტინი, მაგრამ არ მოუხერხდათ პოლონეთის წინადადებისათვის გვერდის ავლა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა არუთინიანმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირს უფლება აქვს წარმოდგენილი იყოს საკონსულტაციო საბჭოში, როგორც ერთ-ერთს იმ ოთხ სახელმწიფოდან, რომლებიც განსაზღვრავენ იტალიის ყოფილი კოლონიების საბოლოო ბედს, როგორც გათვალისწინებულია სსრ კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის ერთობლივ დეკლარაციაში, რაც დართული აქვს იტალიასთან საზავო ხელშეკრულებას. არუთინიანმა აღნიშნა: არსეს გამოსვლა დამახასიათებელია იმ მხრივ, რომ ცხადყოფს, რომ მთელი რიგი დელეგაციები იმ საკითხების გადაჭრისას, რომლებიც ლიბიის ბედს ეხებიან, ხელმძღვანელობენ ფაქტიურად არა ლიბიის მოსახლეობის ინტერესებით, არამედ დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის ან იტალიის ინტერესებით, როგორც ამაზე გულახდილად ლაპარაკობდა არგენტინის დელეგატი არსე.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა გაიღაშქრა უმაღლესი კომისრის დანიშვნის წინააღმდეგ. მან თქვა, რომ ლიბიაში არსებულ პირობებში უმაღლესი კომისარი ინგლისის ხელში უბრალო იარაღი იქნება.

ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, ერაყის, ლიბერიისა და სხვების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თავს შეიკავებენ როგორც საბჭოს შექმნის შესახებ წინადადების, ისე ამ საბჭოში სსრ კავშირის შეყვანის შესახებ პოლონეთის წინადადებისათვის კენჭისყრის დროს.

ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ ინგლისმა არაბთა ქვეყნებს აგრძნობინა, რომ თუ ისინი ხმას მისცემენ საბჭოს შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ან პოლონეთის შეყვანას, მაშინ ინგლისი მიიღებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელსაყრელი არ იქნება არაბთა ქვეყნების პოზიციებისათვის.

საკონსულტაციო საბჭოში სსრ კავშირის შეყვანის შესახებ პოლონეთის წინადადებისათვის კენჭისყრისას შვიდმა დელეგაციამ თავი შეიკავა და თერთმეტმა დელეგაციამ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, არგენტინის მეთაურობით ხმა მისცა წინააღმდეგ. მაგრამ წინადადება საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ ცხრა წევრის შემადგენლობით, სსრ კავშირის გამოკლებით, როგორც ბრაზილიას, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პაკისტანს ჰქონდათ განზრახული, ქვეკომიტეტმა აგრეთვე არ მიიღო, ვინაიდან ხმები თანაბრად გაიყო: 10 — სასარგებლოდ და 10 — წინააღმდეგ. სსრ კავშირმა, პოლონეთმა და ჩეხოსლოვაკიამ ხმა მისცეს ამ წინადადების წინააღმდეგ. კენჭისყრის შედეგის გამოქვეყნების შემდეგ არგენტინის დელეგატმა მოითხოვა კენჭისყრის განმეორება, ამჯერად სახელობითი კენჭისყრა, მაგრამ არც ეს წინადადება მიიღეს.

„ნიუ-იორკის განაჩენი ნიღაბს ხდის ეგრეთ წოდებულ ამერიკულ დემოკრატიას"

ტიტლიატის განცხადება ასოშიეიტედ პრესის საგანგებო კორესპონდენტისადმი

რომი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა პალმირო ტოლიატიმ შემდეგი განცხადება გაუკეთა ასოშიეიტედ პრესის საგანგებო კორესპონდენტს იმ შეკითხვის პასუხად, თუ რა აზრისა არის ტოლიატი ამერიკის კომპარტიის 11 ხელმძღვანელისათვის გამოტანილი განაჩენის შესახებ:

„კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალისტური წყობილების შექმნისათვის ეკონომიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე ბრძოლა მუშათა კლასის არა მარტო უფლება, არამედ წმიდათა წმიდა მოვალეობაც არის. უფრო მეტიც, ეს არის მუშათა კლასის ისტორიული მისია, და იგი უცილობლად შეასრულებს ამ მისიას. სწორედ ასევე ბურჟუაზიის არა მარტო უფლება და მოვალეობა, არამედ ისტორიული მისიაც იყო ფეოდალიზმის დამხობა და კაპიტალისტური წყობილების შექმნა.

ამიტომ, ისეთი განაჩენი, როგორიც ნიუ-იორკის სასამართლომ გამოიტანა, სასაცილო და სულელური ნაბიჯია, იგი მსგავსია იმ განაჩენებისა და ძალადობის სხვა აქტებისა, რომელთა შემწეობითაც ფაშისტები ვარაუდობდნენ მოესპოთ კომუნისტური და სოციალისტური მოძრაობა. ასეთი განაჩენები მოწმობენ, რომ რეაქციონერები და ომის გამჩაღებლები, რომლებიც დღეს ამერიკის პოლიტიკას ხელმძღვანელობენ, ცდილობენ დააშინონ თავიანთი ხალხი, ალბათ იმიტომ, რომ ისინი გრძნობენ, რომ ამერიკელი ხალხი უკვე იღლება პროვოკაციული სამხედრო პოლიტიკით და კარგავს რწმენას იმ რეჟიმისადმი, რომელსაც არ ძალუძს იხსნას ამერიკა კატასტროფული კრიზისების, მასობრივი უმუშევრობისა და მშრომელი მასების სიღატაკისაგან.

ნიუ-იორკის განაჩენი ნიღაბს ხდის ეგრეთ წოდებულ ამერიკულ დემოკრატიას და ყველას წინაშე ააშკარავებს ამ ფსევდოდემოკრატიის ნამდვილ სახეს, რაც სხვა არა არის რა, თუ არა კაპიტალისტების ანტიდემოკრატიული დიქტატურა, რომელიც მიმართულია მშრომელთა წინააღმდეგ".

უოლესის განცხადება

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ჰენრი უოლესი შეეხო ამერიკის კომპარტიის ლიდერებისათვის გამოტანილ განაჩენს და პრესის წარმომადგენლებისათვის გაკეთებულ განცხადებაში გაიმეორა თავისი აზრი, რომ კომუნისტების მოქალაქეობრივ უფლებათა დაცვა წარმოადგენს დემოკრატი ხალხების თავისუფლებათა დაცვის პირველ ხაზს. უოლესმა განაცხადა, სასამართლოს გადაწყვეტილება არ ცვლის ჩემს აზრსო, და დასძინა: „გერმანიის, იტალიის, იაპონიისა და ფრანკისტული ესპანეთის ისტორიას უნდა დაეანახვებინა ჩვენთვის, რომ კომუნისტების დევნა მხოლოდ პირველი ნაბიჯია მშრომელთა, ეროვნულ, რასობრივ და პოლიტიკურ უმცირესობათა და ყველა მათი დემოკრატიული უფლებების დევნისა, ვინც ხელისუფლების სათავეში მყოფი მთავრობის პოლიტიკას ეწინააღმდეგება".

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტი

ვაშინგტონი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ და სენატმა საბოლოოდ მოიწონეს და პრეზიდენტ ტრუმენს ხელმოსაწერად გაუგზავნეს კანონპროექტი იმის შესახებ, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წელს შეიარაღებული ძალების საჭიროებისათვის ასიგნებულ იქნას 15.585 მილიონზე მეტი დოლარი. ეს თანხა უდიდესი ასიგნებაა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საჭიროებისათვის მშვიდობიან დროს, განსაკუთრებით თუ მას შევადარებთ ამერიკის შეერთებული შტატების ასიგნებებს სამხედრო საჭიროებისათვის ომამდელ საბიუჯეტო წელს, რომელიც დამთავრდა 1939 წლის 30 ივნისს, როცა ეს ასიგნებანი ცოტათი აღემატებოდა 1,3 მილიარდ დოლარს. შეიარაღებული ძალების საჭიროებისათვის განკუთვნილ ამ ასიგნებებში არ შედის ბევრი დიდი სამხედრო ხარჯები, როგორც, მაგალითად, ასიგნებანი ატომის ენერგიის დარგში სამუშაოდ, ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრებისა და ამერიკის იმპერიალიზმის სხვა სატელიტებისათვის სამხედრო დახმარების თანხები, ზოგიერთი ასიგნებანი ავიაციის დარგში გამოკვლევებისათვის და სხვ.

პრეს-კონფერენცია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ი. ვიშინსკისთან

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ლეიკ-საკსესში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური სამდივნოს შენობაში შედგა პრეს-კონფერენცია, რომელიც მოიწვია სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა გენერალურ ასამბლეაში ა. ი. ვიშინსკიმ. პრეს-კონფერენციას დაესწრო სამასამდე კაცი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან აკრედიტებული ყველა კორესპონდენტი, აგრეთვე დიპლომატიური კორესპონდენტები და ამერიკის დიდი გაზეთებისა და პრესის სააგენტოების პოლიტიკური მიმომხილველნი. პრეს-კონფერენციამ გასტანა 1 საათსა და 15 წუთს და მიმდინარეობდა განსაკუთრებული ინტერესის ვითარებაში.

ა. ი. ვიშინსკიმ განცხადება გააკეთა პრესისათვის და პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

სლოვაკი ხალხი სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმს

პრაღა, 18 ოქტომბერი. (საკდესი). უკანასკნელ წლებში მეტად გაძლიერდა ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი არა მარტო სლოვაკიის კომუნისტური პარტიის წევრებში, არამედ მშრომელთა უალრესად ფართო მასებშიც. საბჭოთა არმიის მიერ სლოვაკიის განთავისუფლების მომენტიდან მარქსისტულ-ლენინური თეორიის დარგში გამოცემულია მილიონ ცალზე მეტი წიგნი. გამოსცემლობა „პრავდამ" 1945 წელს გამოსცა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა 218 ათასი ცალი წიგნი, ხოლო 1948 წელს — 228 ათასი, 1949 წლის სექტემბრის დამლევამდე უკვე გამოცემულია 399 ათასი ცალი წიგნი.

სლოვაკიაში ყველაზე მეტად გავრცელებულია ი. ბ. სტალინის შრომები: „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" და „ლენინიზმის საკითხები".

მიმდინარე წლის ხოლოს სლოვაკურ ენაზე გამოვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულის პირველი ტომი.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გადაწყვეტილება ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკას შორის დიპლომატიური მისიების გაცვლის შესახებ

პრაღა, 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დიპლომატიური მისიები გაცვალოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან.

მთავრობის დავალებით ჩეხოსლოვაკიის პრეზიერ-მინისტრის მოადგილემ შიროკომ ამ გადაწყვეტილების შესახებ აცნობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს დერტინგერს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დიპლომატიური მისია გაუცვალოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას

სოფია, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. პოპტომოვმა ამს წლის 17 ოქტომბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს დერტინგერს გაუგზავნა დეპეშა იმის შესახებ, რომ ბულგარეთის მთავრობამ გადაწყვიტა დიპლომატიური მისია გაუცვალოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას.

უნგრეთის მთავრობამ გადაწყვიტა დიპლომატიური მისია გაუცვალოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას

ბუდაპეშტი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც აქ ოფიციალურად იუწყებიან, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა დიპლომატიური მისია გაუცვალოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით მთავრობას.

დიპლომატიური მისიების გაცვლა პოლონეთის მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის

ვარშავა, 19 ოქტომბერი. (საკდესი). პოლონეთის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო დიპლომატიური მისიები გაცვალოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

დიდი კაპიტალისტი მეიერი პრემიერობის კანდიდატი

პარიზი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვენსან ოროლმა მთავრობის შექმნა დაავალა რენე მეიერს, რომელიც ბევრჯერ შედიოდა მთავრობაში. რენე მეიერი ოფიციალურად რადიკალ-სოციალისტთა პარტიის წევრია, მაგრამ ამავე დროს იგი ახლო დგას დეგოლელთა პარტიის — ეგრეთ წოდებული „ფრანგი ხალხის გაერთიანების" ხელმძღვანელობასთან.

ფინანსთა მინისტრად ყოფნის დროს მეიერმა განახორციელა მთელი რიგი საფინანსო ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუარესებისაკენ. მეიერი მუდამ იყო აგრეთვე მრეწველობის ნაციონალიზაციის გაფფორებული მოწინააღმდეგე და ჯერ კიდევ 1948 წლის მაისში განაცხადა, მთავრობა აპირებს ყველა ნაციონალიზებული ქარხნის დახურვასო.

რენე მეიერი ხანკრ როტშილდების ნათესავია და 35-ზე მეტი კაპიტალისტური საზოგადოების ადმინისტრატორი ან ფარული ხელმძღვანელია.

მეიერმა პრინციპული თანხმობა განაცხადა მთავრობის შედგენაზე.

ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელმა არმიამ ამოი დაიკავა

პეკინი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება, რომ 17 ოქტომბერს სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ დაიკავა ნავსადგური ამოი ფუძიანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში. გომინდანელთა ჯარები, გარდა ამოისა, ბოლო ორ თვეში ევაკუირებული წვრილი ჯგუფებისა, განადგურებულ იქნენ.

ამოი მნიშვნელოვანი საზღვაო ნავსადგურია 200 ათასი მცხოვრებით. იგი მდებარეობს 147 საზღვაო მილზე ფორმოზიდან.

გრანდიოზული დემონსტრაცია შანხაიში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარების მიერ კანტონისა და ამოის დაკავების გამო

შანხაი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს შანხაიში შედგა მშრომელთა და საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა გრანდიოზული დემონსტრაცია სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარების მიერ ამოისა და კანტონის აღების აღსანიშნავად.

სსრ კავშირის პირველობა ჭადრაკში

17 ოქტომბერს, ბოლოს-ბოლო სსრ კავშირის პირველობის მეორე ტურში, ბოტვინნიკ-ბოტვინიკ პარტია კოტოვის დამარცხებით დამთავრდა.

ბოლესლავსკ-კოპილოვის პარტიაში 25-ე სვლაზე გაამარჯვა ბოლესლავსკიმ.

ფურმან-სოკოლსკის, ალონინ-ფლორის, ბოლმოვ-კერესისა და ლევენფიშ-ტალიმანოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

სმისლოვ-პეტროსიანის, ლილიენტალ-გელერისა და გოლდბერგ-ლიუბლინსკის პარტიები გადადებულია. ბრონშტეინ-რაგოზინის პარტია არ შემდგარა.

18 ოქტომბერს ტურნირზე გათამამდება დაუმთავრებელი გადადებული პარტიები. (საკდესი).

სპორტული ამბები

ფეხბურთი

დასასრულს უახლოვდება მეორე ჯგუფის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების ფინალური შეჯიბრება.

ხუთი ტურის შემდეგ გათამაშებაში დაწინაურდნენ თბილისის „სპარტაკისა" და კალინინგრადის გუნდები. თბილისის „სპარტაკმა" დაამარცხა ლვოვის „სპარტაკის" (1 : 0), ლენინგრადის (4 : 0) და სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის (2 : 1) გუნდები, ხოლო ოდესის „პიშჩევიკთან" შეხვედრა თბილისელებმა ფრედ დაამთავრეს — 0 : 0. ერთადერთი დამარცხება მათ განიცადეს კალინინგრადის ფეხბურთელებთან შეხვედრაში (0 : 1). ამრიგად, თბილისის „სპარტაკმა" ხუთ მატჩში მოაგროვა 7 ქულა. ქულების ასეთივე რაოდენობა აქვს კალინინგრადის გუნდსაც. უკანასკნელ მატჩს თბილისის „სპარტაკი" ჩაატარებს 21 ოქტომბერს როსტოვის „დინამოსთან", ხოლო კალინინგრადის გუნდი 22 ოქტომბერს — ოდესის „პიშჩევიკთან".

შეხვედრა კალინინგრადის გუნდთან თბილისელებს გასაჩივრებული აქვთ.

კალათბურთი

წელს პირველად მოეწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება კალათბურთში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის გუნდი მონაწილეობდა. ჩასატარებელი დარჩა ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები, რომლებიც შედგება თბილისში, ქიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედანზე.

ნახევარფინალურ შეხვედრებში მონაწილეობენ: ქალთა შორის — კიევის „დინამო" (სსრ კავშირის 1949 წლის ჩემპიონი), მოსკოვის „დინამო", ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი (ბაქო) და ტარტუს უნივერსიტეტის სპორტული კლუბის გუნდი; მამაკაცთა შორის — ტარტუს უნივერსიტეტის სპორტული კლუბის გუნდი (სსრ კავშირის 1949 წლის ჩემპიონი) და თბილისის, მოსკოვის და რიგის დინამოელები.

ნახევარფინალური მატჩები შედგება 22 ოქტომბერს, ხოლო ფინალური — 23 ოქტომბერს.

მენდელეევის საზოგადოებაში

28 ოქტომბერს, დღის 1 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ აუდიტორიაში შედგება მენდელეევის სახელობის სრულიად საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების საერთო კრება. დღის წესრიგი: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. მ. კაკაბაძის მოხსენება: „წარმოების ნარჩენების გამოყენების საკითხისათვის"; ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დ. ი. ერისთავის მოხსენება: „მინერალური წყლების ფიზიკურ-ქიმიური შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა".

ღიზერაგზრული საღამო

21 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში შედგება ლიტერატურული საღამო. პოეტი აღექსანდრე მეჟიროვი წაიკითხავს თავის ახალ ლექსებს და ქართველი პოეტების ლექსთა თარგმანს.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა დამთავრა განხილვა ეგრეთ წოდებული საკითხისა ბულგარეთსა, უნგრეთსა და რუმინეთში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, კომიტეტს წარედგინა ამერიკის შეერთებული შტატების, ბოლივიისა და კანადის რეზოლუციის ერთობლივი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ეს საკითხი დარჩეს ასამბლეის დღის წესრიგში, და საერთაშორისო სასამართლოსდმი მიმართვა ბულგარეთთან, უნგრეთთან და რუმინეთთან საზავო ხელშეკრულებათა ზოგიერთი მუხლის განმარტების შესახებ საკონსულტაციო დასკვნისათვის. რეზოლუციის ამერიკული პროექტისათვის წარდგენილ იქნა ორი შესწორება — ავსტრალიის შესწორება, რომელიც ითვალისწინებდა გენერალური ასამბლეის „სპეციალური კომიტეტის შექმნას ამ საკითხის „შესასწავლად" იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო სასამართლოსგან მიღებული იქნებოდა უარყოფითი დასკვნა, და ბრაზილიის, ლიბანისა და ჰოლანდიის ერთობლივი შესწორება, რომელიც მოითხოვდა, რომ რეზოლუციის ამერიკულ პროექტში მითითებული ყოფილიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 55-ე მუხლი უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის საშინაო საქმეებში ჩარევის ცდის გასამართლებლად.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ორდონომ, რომელმაც კენჭისყრის თაობაზე ილაპარაკა, კვლავ განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება რეზოლუციის ამერიკული პროექტის იმ ნაწილს, რომელიც გენერალურ ასამბლეას წინადადებას აძლევს მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს და თხოვოს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერია საზავო ხელშეკრულებებთან დაკავშირებიო დავის გადამწყვეტ კომისიათა შექმნა იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუმინეთი, ბულგარეთი და უნგრეთი უარს იტყვიან თავიანთი წარმომადგენლები დანიშნონ ამ კომისიებში. ორდონომ კომიტეტის 12 ოქტომბრის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღიარა, რომ ასეთი პროცედურა არბიტრაჟის პროცედურა არ იქნება და რომ გენერალური ასამბლეა ასეთი გადაწყვეტილების მიღებით გადაამტებს თავის უფლებამოსილებას და საზავო ხელშეკრულებათა რევიზიის გზას დაადგებ.

მუხლობრივი კენჭისყრის შედეგად მიღებულ იქნა რეზოლუციის ამერიკული პროექტი ლიბანის, ბრაზილიისა და ჰოლანდიის მიერ წარდგენილი შესწორებით ავსტრალიის შესწორება უარყოფილ იქნა.

საფრანგეთის დელეგატმა ხმა მისცა რეზოლუციის ამერიკული პროექტის ორი უკანასკნელი პუნქტის წინააღმდეგ, შეუერთდა რა ამ შემთხვევაში სსრ კავშირს, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციებს, რომლებმაც ამერიკული პროექტის ყველა პუნქტის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

მთლიანად რეზოლუციის ამერიკული პროექტისთვის კენჭისყრის დროს პროექტს ხმა მისცა 41 დელეგატმა; 5 დელეგატმა ხმა მისცა წინააღმდეგ (სსრ კავშირი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უკრაინის სს რესპუბლიკა და ბელორუსიის სს რესპუბლიკა), 9 დელეგატმა თავი შეიკავა (საფრანგეთი, ისრაელი, ავიანეთი, ბირმა, საუდის არაბეთი და სხვ.).

ავსტრიის ახალი მთავრობის შედგენა ფიგლს დაეკალა

ვენა, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ავსტრიის პრეზიდენტმა რენერმა მიიღო „სახალხო პარტიის" თავმჯდომარე ფიგლი და დაავალა მას ავსტრიის ახალი მთავრობის შედგენა.

ავსტრიის პრესის საგენტოს ცნობით, ფიგლი მოლაპარაკებას აწარმოებს ავსტრიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობასთან მომავალი კაბინეტის შემადგენლობის შესახებ.

თეატრებში

რუსთაველის სახელობის (კონსერვატორიის დიდ დარბაზში, გრიბოედოვის ქ. № 8)
21-X „ნ. ბარათაშვილი"
22-X „სხვისი ჩრდილი"

მარჯანიშვილის სახელობის
21-X „მოძღვარი"
22-X „ხარაგაულის ქორწილი"

21 ოქტომბერს კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის რუსთაველის პროსპ. 7 ტელ. 3-09-50	**„ოცნების დაღუპვა"** დასაწყ. 4, 6, 8, 10 ს.
„ოქტომბერი" პლეხანოვის პროსპ. 135 ტელ. 3-39-84	**„უღანაშაულო დამნაშავენი"** დასაწყ. 3-45, 5-45, 7-45, 9-45 ს.
„ამირანი" პლეხანოვის პროსპ. 125 ტელ. 3-48-61	**„ოცნების დაღუპვა"** დასაწყ. 12, 2, 4, 6, 8, 10 ს.
„თბილისი" ჯორჯიაშვილის ქ. № 2 ტელ. 3-57-88	**„ცირკის მსახიობები"** დასაწყისი 4-30, 6-30, 8-30, 10-30 ს.
„სპარტაკი" რუსთაველის პროსპ. 23 ტელ. 3-08-27	**„ბედნიერი შეხვედრა"** დასაწყისი 12, 2, 4, 5-50, 7-50, 9-50, ს.
„კომკავშირელი" პლეხანოვის პროსპ. № 93 ტელ. 3-29-61	**„ცირკის მსახიობები"** დასაწყ. 4, 5-50, 7-50, 9-50 ს.

მოქალაქე **ვასილ ხარიტონის-ძე ბროცკიმ,** აღძრა საქმე ბერგიჩეევის რაიონის (ციტომირის ოლქი) სოფელ სიმონოვკაში მცხოვრებ მოქალაქე **ელენე ვასილის ასულ ბროცკაიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-5 უბნის სახალხო სასამართლო.

ს. ჩიქოვანი, ალ. გოლიაშვილი, ირ. აბაშიძე, ლ. ქიაჩელ